საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 18 აგვისტო. 2017 წ. №166 (8303), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ყველაზე დიდი სიმდიდრე ერის ჯანმრთელობაა!

⑥⑦

დღის მთავარი თემა



ფრიდონ თოდუა: წარმატება ათმაგ კმაყოფილებას გვანიჭებს, თუ ის საკუთარ ქვეყანაშია მიღწეული

ვაჟა ბერიძე: სააკაშვილი არ არის გაჭრილი კარტი

③

ვის აწყობს საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე მკვლელობები?!

⑤

გიორგი სიგუა დაკითხვაზე დაიბარეს, „ჯემ ფესტის“ დოკუმენტაცია გამოძიებლებმა წაიღეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა „ჯემ ფესტის“ ფარგლებში შესაძლო ფინანსური ხასიათის დარღვევებთან დაკავშირებით გამოძიება **დაიწყო**. საგამოძიებო სამსახურში დაკითხვაზეა დაბარებული ფესტივალის ორგანიზატორი გიორგი სიგუა. სიგუა უწყებაში დღეს უნდა გამოცხადდეს. ის ამბობს, რომ მზადაა, ყველა კითხვას გასცეს პასუხი. მისივე თქმით, ოფისიდან ამოღებულია დოკუმენტაცია და წაღებულია კომპიუტერები.

რუსეთში „იეჰოვას მოწმეები“ ოფიციალურად აკრძალეს

რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ „იეჰოვას მოწმეები“ იმ ორგანიზაციების სიაში შეიყვანა, რომელთა მოღვაწეობაც ქვეყანაში იკრძალება. მანამდე გადაწყვეტილება უმაღლესმა სასამართლომ მიიღო. ორგანიზაციას ექსტრემისტულ საქმიანობაში ადანაშაულებენ, რასაც „იეჰოვას მოწმეები“ კატეგორიულად „უარყოფენ“.

„ის ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილი“

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი: სააკაშვილის დანახვაზე ეს უკვდავი ფრაზა გამახსენდა...

პოლონური გამოცემა „Super Express“, **პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის 2001-2004 წლებში, ლეშეკ მილერის სტატიას აქვეყნებს, რომელიც საქართველოს ექსპრეზიდენტსა და ოდესის ოლქის ყოფილ გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს შეეხება.**

აშშ-ის პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს მიაწერენ ფრაზას, რომელიც მას 1939 წელს უთქვამს ერთ-ერთი ლათინოამერიკელი დიქტატორის მისამართით: „ის, რა თქმა უნდა, ძაღლიშვილია, მაგრამ მაინც ჩვენი ძაღლიშვილია“. ეს ფრაზა უნივერსალურ პრინციპად იქცა, რომელიც საშუალებას იძლევა პოლიტიკური შეთვისებადობა-შემგუებლობის არსს არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

რუზველტის ფრაზა მაშინ გამახსენდა, როცა „გასტროლებზე მყოფი“ მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში დავინახე. როგორც ცნობილია, საქართველოს ექსპრეზიდენტს სამშობლოში ბრალდება წაუყენეს საპროტესტო აქციების დარბევაზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე და საბიუჯეტო თანხების განიავებაზე. მასზე გამოცხადებულია ძებნაც, თუმცა ამ ბრალდებებს მიხეილ სააკაშვილისათვის ხელი არ შეუშლია, რომ რამდენიმე დღე ვარშავაში გაეტარებინა – სხვათა შორის, ძალადაკარგული პასპორტით: მას ხომ ჩამორთმეული აქვს როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის მოქალაქეობაც...

საქართველოს პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირება მოითხოვა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ პოლონეთში მას არაფერი

ძველმა „მეგობრებმაც“ გაწირეს!

მსგავსი რამ არ ემუქრება – იგი ხომ სწორედ იმას ამბობს, რაც დღევანდელ ჩვენს ხელისუფლებას სიამოვნებს: **„სმოლენსკის კატასტროფა ვლადიმერ პუტინის შურისძიებაა ლეხ კაჩინსკის მიმართ იმის გამო, რომ იგი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს აქტიურობდა და თბილისში ჩასვლის დროს მტკიცე „ანტიპუტინური“ პოზიცია დაიკავა“,** – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. ექსპრეზიდენტის თქმით, ვლადიმერ პუტინი **„სისხლიანი მკვლელია, რომლის ხელობა ადამიანების ხოცვაა. რუსეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკის სიკვდილით პოლონეთის დამოუკიდებლობის ბოლოს მოღება სურდაო“**. ოქროს სიტყვებია. ასეთი სიტყვები ყველანაირ პასპორტზე და ვიზაზე ძვირად ფასობს. ვინ იცის, შესაძლოა მიხეილ სააკაშვილი ოდესმე პოლონელიც კი გახდეს და მსოფლიოში პოლონური დოკუმენტებით იაროს...

რაც შეეხება 2008 წლის მოვლენებს: **ევროკავშირის სპეციალურმა კომისიამ შვეიცარიელი ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით გამოიკვლია რუსეთ-საქართველოს ომის გარემოებები, რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ 7-8 აგვისტოს ღამით სამხედრო მოქმედება ქართულმა არმიამ განახორციელა სამხრეთ ოსეთში შეჭრის მიზნით. მოკლედ, გამოდის, რომ ომი რუსეთმა კი არა, საქართველომ დაიწყო.**

როცა მთელი მსოფლიო თვალს პეკინის ოლიმპიურ თამაშებს ადევნებდა, მიხეილ სააკაშვილმა გმირობის ჩადენა გადაწყვიტა. მაგრამ რისი იმედი ჰქონდა, როცა უაზრო წინასწარ წაგებულ ომს იწყებდა? ეგონა, რომ სწრაფად და იოლად გაიმარჯვებდა? ან იქნებ ფიქრობდა, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა? ან ამერიკა სამხედრო დახმარებას გაუწევდა? შესაძლოა მიხეილ სააკაშვილს ეგონა, რომ იგი თავის მყიფე მდგომარეობას განიმტკიცებდა და მთელ მსოფლიოს მოულოდნელი ფაქტის წინაშე დააყენებდა? თუმცა, აწი მნიშვნელობა აღარ აქვს, რას ფიქრობდა და რისი იმედი ჰქონდა – ყველაფერმა უქმად ჩაიარა: ქართველმა პრეზიდენტმა ყველაფერი წააგო, რისი წაგებაც შეიძლებოდა. ახლა იგი სიამოვნებით თამაშობს რობინ ჰუდის როლს, თავის თავს გმირად წარმოსახავს, მაგრამ სადაა მისი შერვუდის ტყე?

არასაპარლამენტო ოპოზიციას არჩევნებში საერთო კანდიდატები ეყოლება

არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი 21 აგვისტოს თბილისის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარეების ერთიან კანდიდატებს **დაასახელებს,** – ამის შესახებ „თავისუფალი საქართველოს„ ლიდერმა კახა კუკავამ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, რამდენიმე კვირის წინ „თავისუფალი საქართველოს“ ინიციატივით თბილისის მერობის ერთიანი კანდიდატის წარსადგენად ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციები დაიწყო. კონსულტაციებში „დემოკრატიული მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „ლეიბორისტები“ მონაწილეობდნენ.

„ძალიან კარგი სტარტი იყო. მაშინაც დარწმუნებული ვიყავი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ერთიანი კანდიდატის დასახელება ოპოზიციისთვის გარანტირებული გამარჯვების წინაპირობა იქნებოდა. სამწუხაროდ, რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ მერობის კანდიდატი დამოუკიდებლად დაასახელა. ჩვენთვის განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იყო „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ კანდიდატის დასახელება. ისინ ჩვენი ყოფილი პარტნიორები არიან და საარჩევნო ბლოკში ერთად ვიყავით. ცოტათი გულდაწყვეტილები დავრჩით, რომ მათ მიერ თბილისის მერობის კანდიდატის წარდგენა ტელევიზიით შევიტყვეთ“, – აღნიშნა კუკავამ.

„ან შემცირდება ან გაიზრდება?“

ენერგეტიკის მინისტრი ელექტროენერგიის ტარიფის მატებას არ გამორიცხავს. ილია ელოშვილის განცხადებით, ტარიფის ცვლილება სხვადასხვა ფაქტორზე იქნება დამოკიდებული და საკითხს საბოლოოდ სემეკი გადაწყვეტს.

„მარეგულირებელი კომისია გადაწყვეტს და დაადგენს მეთოდოლოგიის მიხედვით საბოლოო ტარიფს. როცა ხდება გადახედვა, შესაძლებელია რომ შემცირდეს, შესაძლებელია გაიზარდოს. ეს არის ძალიან ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული – მათ შორის, განხორციელებულ ინვესტიციებზე, ლარის კურსზე და სხვადასხვა ფაქტორებზე, რომელიც არის დასათვლელი და შესაფასებელი“, – განაცხადა ილია ელოშვილმა.

პრეზიდენტს მმართველი გუნდისა და ოპოზიციური პარტიებისთვის კონკრეტული შეთავაზება აქვს

საქართველოს პრეზიდენტს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მმართველი გუნდის და ოპოზიციური პარტიების მიმართ კონკრეტული შეთავაზება აქვს. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციების გამართვის შემდეგ, დამატებით უნდა გაიმართოს შეხვედრები, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, ასევე არასამთავრობო სექტორთან.

„პირველი შეხვედრაა პოლიტიკურ პარტიებთან, რაც მისასალმებელია. თუმცა, პრეზიდენტი თვლის, რომ ეს შეიძლება იყოს ამ პროცესის მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისი. მნიშვნელოვანია, ყველა სერიოზულ საზოგადოებრივ ჯგუფთან, ისევე როგორც კონსტიტუციურ ორგანოსთან კონსულტაცია და მცდელობა, რომ იქნას მიღწეული კონსესუსი,“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ. საკონსტიტუციო ცვლილებების თემაზე, კონსულტაციებზე პრეზიდენტის ადმინისტრაცია მიწვეული არ არის.

აფეთქების შედეგად დაზარალებულებს აჭარის მთავრობა დაეხმარება

ბათუმში გუშინ მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებულებს აჭარის მთავრობა დაეხმარება. ამის შესახებ განცხადება მედიასთან აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ გაკეთა:

„ჩვენ დაზარალებულ მოსახლეობას ქალაქ ბათუმის მერიაში შევხვდით. ამ ეტაპზე ჩვენ მათ ვთავაზობთ დროებითი ფართით უზრუნველყოფას. შეიძლება ითქვას, რომ ალტერნატიული ბინის ფართების შეთავაზებით უპრეცედენტო გადაწყვეტილება მივიღეთ. გამოძიების დასრულებამდე ვთავაზობთ მოსახლეობას გადავცეთ კონკრეტული ბინები. ასევე არის მეორე შეთავაზება, მოხდება დაზარალებული სახლების რემონტი. ველოდებით მოსახლეობისგან დასტურს და შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას. თუ საბოლოო ჯამში მოხდება მოლაპარაკება მოსახლეობასთან და ფართები გადაეცემათ საკუთრებაში, მოხდება ჩანაცვლება, მათი საცხოვრებელი ფართები გადაეცემა სახელმწიფოს. ამ ეტაპზე ყველაფერს სახელმწიფო დაფარავს.“

◎ რა სარგებლობა მოაძვს ვაშლს?!

„ჯეჯელავას ვაშლი“

კიდევ ახალი „ნოუ-ჰაუთი“ მიიპყრო ჩვენი ყურადღება ბატონმა ალექსანდრე ჯეჯელავამ. როგორც მოგეხსენებათ, ამჯერადაც ზღაპრული (თუ საზღაპრო) თემა შემოგვთავაზა: სკოლებში მოსწავლეების მომარაგება ვაშლებით კი არა, თითო ვაშლით, ისიც ყოველდღე კი არა, კვირაში ერთხელ!

ბატონო ალექსანდრე, თუ ასეთ სასარგებლო პროდუქტად მიგაჩნიათ ვაშლი (ეს ასეც არის), კვირაში ერთხელ რა სიძუნწეა. წამალი რომ იყოს, სისტემატურად მიღებაა საჭირო, თორემ კვირაში ერთხელ რა, ჯადოსნური ვაშლია?

უკეთესს შემოგთავაზებთ, ბატონო ალექსანდრე, გავაუმჯობესებ თქვენს „რაციონალიზატორულ წინადადებას“, თან სასარგებლოც იყოს (ჯანმრთელობის მხრივ) და თან სასწავლო პროცესსაც შეუწყოს ხელი. კერძოდ: ვაშლებით დაასაჩუქრეთ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებიც კარგად მოამზადებენ გაკვეთილებს. ეს იქნება სტიმული ბავშვებისთვის, კარგად რომ ისწავლონ, მაგრამ საჭიროა დიფერენცირება. მაგალითად, თუ ბავშვს ამა თუ იმ საგანში დაუწერენ ათიანს, მან უნდა მიიღოს საუკეთესო ხარისხის ვაშლი. ვთქვათ და, თურაშაული. ვინც ცხრიანს მიიღებს, მან ნაკლები ხარისხის ვაშლი უნდა მიიღოს. დავუშვათ, „ბროცკი“ და ა. შ.

ერთი კითხვა იჩენს თავს, რომელსაც მე პირადად, ვერ ვუძებნი პასუხს: ვინ გააკონტროლებს, რამდენი ვაშლი დარიგდა სკოლაში და რამდენი „მოტეხეს“ პედაგოგებმა? „ეს მიჩურინის ვაშლი კი არა, ჩემი ვაშლია“, , გახსოვთ ალბათ, კინოფილმიდან „ჭრიჭინა“. ჰოდა, გაჩნდება ალბათ, ახალი გამოთქმა: „ეს მიჩურინის ვაშლი კი არა, ჯეჯელავას ვაშლია“.

მზია გელენავა

აჭარაში საადრეო ყურძენი დამწიფდა...

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ქობულეთში, გვარაში აგროსერვის ცენტრის ვაზის სანერგე მეურნეობაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებთან ერთად საადრეო ყურძნის მოსავლის აღებაში ჩაერთო. მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად რთველში მონაწილეობდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ლაშა კომახიძე და განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძე.

„დღეს ჩვენ ვიმყოფებით აგროსერვის ცენტრში, ქობულეთში, სადაც ბავშვებთან ერთად ჩავერთეთ ყურძნის კრეფის პროცესში. ამ ტერიტორიაზე გვაქვს დაახლოებით 32 ჯიშის ყურძენი, მათ შორის სასუფრე და საღვინე ჯიშები. ასევე, აჭარისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ჯიშები, როგორიც არის ცოლიკაური, ჩხავერი და ა.შ. ეს ნამდვილად წარმატებული პროექტია და დღევანდელი დღეც ემსახურება ჩვენი რეგიონის პოპულარიზაციას. ტურისტულად აქტიურ სეზონზე სასურველია ადგილობრივი პროდუქტი მეტად იყოს წარმოდგენილი ბაზარზე,“ – განაცხადა ზურაბ პატარაძემ.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა.ა.ი.პ. აგროსერვის ცენტრის ვაზის სანერგე მეურნეობა 2013 წელს გაშენდა, სადაც სასუფრე-საღვინე ყურძნის 32 ჯიშია დარგული. ამავე ტერიტორიაზეა განთავსებული ღვინის სახლი, რომელსაც ტურისტული ობიექტის სტატუსი აქვს. ქობულეთიდან 10 წუთის სავალზე მდებარე ღვინის სახლი და სანერგე მეურნეობა სტუმრებს საშუალებას აძლევს ადგილზე დააგემოვნონ და შეიძინონ საქართველოში წარმოებული სხვადასხვა სახის ღვინო. ღვინის სახლის სერვისებში შედის ტური ამავე ტერიტორიაზე არსებულ ხეხილისა და ვაზის სანერგე მეურნეობაში, ასევე ღვინის დაყენების ტექნოლოგიების გაცნობა და ღვინის დეგუსტაცია.

15 ავტომობილზე მხოლოდ ერთი გასაჩერებელი ადგილი მოდის!

დედაქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მანქანების პარკირება და სპეციალური ავტოსადგომებია. დედაქალაქში ავტომობილების გასაჩერებელი ადგილების მწვავე დეფიციტია. შესაბამისად, პარკირების სისტემის მოწესრიგება თბილისის მერობის კანდიდატების ლამის მთავარი დაპირებაა.

„ქართული ოცნების“ კანდიდატი კახა კალაძე მიიჩნევს, რომ სისტემას ადგილობრივი ხელისუფლება უნდა მართავდეს: **„სითი პარკთან“ გაფორმდა მიუღებელი და არასწორი ვალდებულებებით დატვირთული ხელშეკრულება, რომელმაც თბილისს მოუტანა ჯარიმა და ნაკლები ადგილი პარკირებისთვის. ამიტომ საკითხის მიმართ საჭიროა სამართლებრივი მოკვლევა და კომპლექსური მიდგომა, სწორი გამოსავლის საპოვნელად.**

ჩვენ ვისმენთ შეუსწავლელ, პოპულიზმისკენ მიმართულ ვერსიებს, ხან ახალი კომპანიების შემოსვლაზე, ხან ბიუჯეტიდან ვიღაცის გასტუმრებაზე, რაც მგონია, რომ კიდევ უფრო დააწვება თითოეულ თბილისელს ჯიბეზე. რეალურად, ეს არის თბილისელების დისკომფორტის გადამისამართება ერთი კომპანიისგან მეორეზე და არა რეალურად იმ პრობლემის აღმოფხვრა და მოგვარება, რომელიც აწუხებს თბილისს.

მგონია, რომ სწორი მოდელია, როდესაც პარკირების მენეჯმენტს ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება მძღოლებისა და ფეხით მოსიარულეების ინტერესები და სათანადოდ იქნება დაცული მათი უფლებები“, – აცხადებს კალაძე.

თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი **ალეკო ელისაშვილი** კი პირდაპირ მოითხოვს კომპანია „სითი პარკთან“ მოქმედი ხელშეკრულების გაუქმებას და გამარჯვების შემთხვევაში საკუთარ ელექტორატს სწორედ ასე მოქცევას ჰპირდება.

„ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატი **ზაალ უდუმაშვილიც** აცხადებს, რომ მისი მერად არჩევის შემთხვევაში, „სითი პარკთან“ ხელშეკრულებას გააუქმებს.

„ევროპული საქართველოს“ მერობის კანდიდატი **ელენე ხოშტარია** კი ავტოსადგომების საერთო ფართობის გაზრდის აუცილებლობაზე ლაპარაკობს. მისი თქმით, ქალაქში, სადაც 400 ათასამდე ავტომობილი მოძრაობს, არსებული 38 ათასი ადგილი საკმარისი არ არის. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს სადგომების მოცულობა მიწისქვეშა სივრცეების ხარჯზე და შეიქმნას დროზე მიბმული დგომის სისტემა.

„შენების მოძრაობის“ მერობის კანდიდატი **თენგიზ შერგელაშვილი** კი ფიქრობს, რომ უნდა შეიცვალოს მთლიანად სატრანსპორტო მოძრაობისა და ავტოსადგომების მართვის სქემა.

„პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ ფონდის თავმჯდომარე **გელა კვაშილავა** პირდაპირ მიუთითებს, რომ პრობლემას ქმნის ავტომობილების გასაჩერებელი ადგილების ინფრასტრუქტურისა და მართვის ერთიანი გეგმის არარსებობა:

„პარკინგი არის ისეთივე პროდუქტი, როგორიც სხვა პროდუქტები. ბუნებრივია, იქ, სადაც მეტი მოთხოვნილებაა პარკინგზე, უნდა იყოს საათობრივი რეგულაციები. ბუნებრივია, შემოსავლები უნდა ხმარდებოდეს ქალაქში ტრანსპორტის განვითარებას, მობილობის განვითარებას. ესე იგი, ჩვენ ვკარგავთ როგორც სივრცეებს, ასევე თანხებს, რესურსებს, რომელიც თავისუფლად შეიძლება მოხმარდეს ქალაქში არსებული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას“, – აცხადებს კვაშილავა.

ავტომობილების გასაჩერებელი ადგილების ინფრასტრუქტურისა და მართვის სისტემის კრიზისზე ლაპარაკობს ორგანიზაცია „ჰაბჯორჯიას“ ხელმძღვანელი **ვასილ ურუშაძე,** რომლის თქმითაც, თბილისში 15 ავტომობილზე მხოლოდ ერთი გასაჩერებელი ადგილი მოდის:

„არ უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს არსებული პრობლემა შეიძლება მოაგვაროს მხოლოდ კერძო სექტორმა. ბალანსი დარღვეულია უკიდურესად: ავტომობილების რაოდენობა ბევრად აღემატება პარკირების ადგილების რაოდენობას. კერძო კომპანიამ შეიძლება უზრუნველყოს სერვისი, მაგრამ ვერ უზრუნველყოს ამ ბალანსის აღდგენა. შესაბამისად, აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლების, ანუ მერიის ჩართვა. შესაძლებელია კერძო სექტორთან თანამშრომლობით, ერთიანი ინვესტიციების განხორციელებით ახალი ადგილები შეიქმნას“, – განუცხადა რადიო „თავისუფლებას“ ვასილ ურუშაძემ.

გეძა დანელია

ДЦ ДЦ ДЦ

◎ ენერგოშემცველთა ბაზარი

დაუსჯელ დასჯილთა პარპაში



არაფერია გასაკვირი იმაში, რომ რიგითი მომხმარებლისთვის, არსებითად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სახელდობრ რომელი კომპანია მოემსახურება, თუმცა კი ამის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი მოწოდებული პროდუქტი ან გაწეული მომსახურება ხარისხიანია, ფასი კი — მისაღები. ორივე პარამეტრს კი ბაზარზე, პირველ ყოვლისა, ჯანსაღი კონკურენციის გარემო განაპირობებს, რომლის შექმნას სახელმწიფო უზრუნველყოფს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებით. ამ მხრივ, დამოუკიდებლობის მოპოვების აგერ უკვე მეოთხედი საუკუნის მანძილზე ფაქტობრივად, ყველა მოდიფიკაციის მთავრობა სცოდავდა — უამრავი სახეობის ბაზარზე მუდამ მძლავრობდნენ და, შესაბამისად, საკუთარ დიქტატს ამყარებდნენ გავლენიანი ღობის მქონე ცალკეული კომპანიების მცირერიცხოვანი ჯგუფები, მათი კონკურენტები კი მცირედი ნამოწყალევი ულუფით კმაყოფილდებოდნენ, ანდა სულაც, კოტრდებოდნენ.

ბუნებრივია, რომ მონოპოლისტის დიქტატი ნებისმიერი ბაზრის მომხმარებელზე უარყოფითად აისახება, რაც უწინარესად, საქონლისა თუ მომსახურების მაღალი ფასით გამოიხატება. ამ მხრივ განსაკუთრებით კომუნალური და ნავთობპროდუქტების სფეროები გამოირჩევა, ორივე ბაზარზე თავისუფალ კონკურენტუნარიან გარემოს დიდად დაშორებული მდგომარეობაა და, როგორც მოვლენათა განვითარება მოწმობს, ელექტროენერგიის დისტრიბუციის სფეროში ახლო მომავალში მონოპოლია კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება.

კერძოდ კი, საქართველოში ენერგოდისტრიბუციის გიგანტმა „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ პოზიციები მნიშვნელოვნად გაიმაგრა: რამდენიმე დღის წინათ მან კომპანია „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ შეიძინა. თავდაპირველად წლეულს ივლისში დანიშნულ აუქციონზე 21 მილიონი ვალის დამგროვებელ კომპანიას მყიდველი არ გამოუჩნდა, იგი ჩაიშალა. მეორე ცდაზე კი 27,8 მილიონ ლარად შეფასებული აქტივები „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ იყიდა.

ენერგოკომპანია „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ ამჟამად 122 ათას აბონენტს ემსახურება და აქამდე ლიტვური კონცერნის „აჰემა ჯგუფის“ საკუთრება იყო, რომელმაც ვერც ნასყიდობის პირობები ვერ შეასრულა და „კახეთის ენერგოდისტრიბუციაც“ გაკოტრებამდე მოიყვანა. სწორედ ესაა იმის მთავარი მიზეზი, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ის აქტივების ფაქტობრივ ღირებულებაზე — 54,6 მილიონ ლარზე — სამჯერ იაფად იყიდა. არადა, „ენერგო-პრო ჯორჯია“ მანამდეც საქართველოში ელექტროენერგიით 970 ათასზე მეტ აბონენტს ამარაგებდა და 15 ჰიდროელექტროსადგურს ფლობდა. ბოლო შენაძენამდე ის ქვეყანაში ენერგოდისტრიბუციის ბაზარზე 61-პროცენტიან და ენერგოგენერაციის 17-პროცენტიან სექტორს აკონტროლებდა. ამ მნიშვნელოვანი შენაძენით კი „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მონოპოლისტური მდგომარეობა ელექტროენერგიის მიწოდების ბაზარზე კიდევ უფრო განმტკიცდება, რაც ისედაც შეუსაბამოდ მაღალი სამომხმარებლო ტარიფის შემცირების შანსებს კიდევ უფრო ეფემერულს ხდის, ვინაიდან ბაზარზე მას, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი კონკურენტი — „თელასი“ ჰყავს.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ახლადშექმნილი კონკურენციის სააგენტოს როლი, რომლის ამოქმედებას მწარმოებლებიც, მომხმარებლებიც და მედიის წარმომადენლები დიდი ხნის მანძილზე ველოდით და, როგორც მოვლენათა განვითარება მოწმობს, სრულიად უსაფუძვლოდ, არსებითად, ნულის ტოლია. ახალი ორგანო, რომელიც ყოფილი ანტიმონოპოლიური სამსახურის „ნასახლარზე“ აღმოცენდა, მასავით უსუსური და ფაქტობრივად, არაფრისმქმნელია, რადგან არანაირი რეალური ძალა არ გააჩნია. ამის თვალნათელი მაგალითია ორი წლის წინათ თავისუფალი „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევისა და კარტელური შეთანხმების გამო მის მიერ საქართველოში ხუთი ყველაზე დიდი ნავთობკომპანიის დაჯარიმების ამბავი. მკითხველს შევახსენებთ, რომ 2015 წლის ზაფხულში ისინი მთლიანად 55 მილიონი ლარით დაჯარიმდნენ, მათ შორის „სოკარი“ 14,4 მილიონი ლარით, „გალფი“ — 11,3 მილიონი ლარით, „რომპეტროლი“ — 10,9 მილიონი ლარით, „ვისოლი“ — 10,4 მილიონი ლარით და „ლუკოილი“ — 4,7 მილიონი ლარით, ჯარიმის დანარჩენი თანხა კი მათთან მჭიდრო ურთიერთობების მქონე სამ ეკონომიკურ აგენტზე მოვიდა.

ამის საბაბი კომპანიების მიერ შეთანხმებული მაღალი სამომხმარებლო ფასების პოლიტიკის გატარება, ანუ კარტელური გარიგება იყო, რაც, რომ იტყვიან, „შეუიარაღებელი“ თვალითაც სრულიად ნათლად ჩანდა. იმის გამო, რომ აღნიშნული ყველა კომპანიას, განსხვავებული ხარჯის მიუხედავად, პროდუქციაზე ხელოვნურად გაბერილი ფასები ჰქონდა დაწესებული, მათ საჯარიმო სანქციები დაუწესდათ, თუმცა, ამ გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე ყველა დასჯილმა სუბიექტმა კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. „სოკარმა“ და „ლუკოილმა“ პირველი ინსტანციის სასამართლოში თავიანთი დავები წააგეს, მაგრამ პირველმა მათგანმა შემდგომ სააპელაციო დავა მოიგო,. „ლუკოილის“ საქმის განხილვა კი ამჟამადაც მიმდინარეობს. აღნიშნულთან დაკავშირებით სპეციალისტები ერთსულოვან დასკვნამდე მიდიან, რომ **ასეთი ვითარება ერთი მხრივ, „დაუსჯელად დასჯილთა“ მძლავრ ლობისტურ შესაძლებლობებზე, მეორე მხრივ, კონკურენციის სააგენტოს უსუსურობაზე მიუთითებს,** რომლის ორწლიანი მოღვაწეობის შედეგი მხოლოდ ეს ერთადერთი(!!!) გაუქმებული ფინანსური სანქციაა, სხვა შემთხვევაში კი კანონდამრღვევებს ის მხოლოდ არაფრისმაქნისი გაფრთხილებებით „უმასპინძლდებოდა“.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ელექტროენერგიისა და ნავთობპროდუქტების ბაზარზე მონოპოლისტის დოღია გაშლილი, რაც რიგით მომხმარებელს, თუნდაც შორეულ პერსპექტივაში „შელავათიანი“ ყოფის ყოველგვარ იმედს უხშობს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ტყის კოდექსი

იმერეთში ტყის რესურსის არასწორი გამოყენება და გამოსავლის გზები...

მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წაბლი, ძელქვა, აკაცია და ევკალიპტი ხის ის ჯიშებია, რომლებიც იმერეთის რეგიონის ტყეებში ყველაზე მეტადაა გავრცელებული. ბოლო მონაცემებით, რეგიონის ტერიტორიის 54 %-ია ტყით დაფარული და რეგიონის ტყის ფონდის ფართობი 353 500 ჰექტარია, რაც საქართველოს ტყის მასტვტს 12 %-მდეა. ტყეს იმერეთის მუნიციპალიტეტებში, ისევე როგორც ქვეყნის მასშტაბით, ძირითადად ენერგეტიკულ და სამასალე რესურსად იყენებენ და მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის დიდი ნაწილი გაზიფიცირებულია, სოფლად მცხოვრები ოჯახების უმეტესობა სათბობად შეშას მოიხმარს, საშეშე მერქნის ყიდვას ამჯობინებს გაზიფიცირებული ქალაქების მოსახლეობის ნაწილიც და ამბობს, რომ ბუნებრივი აირის ან ელექტროენერგიის მოხმარება მათთვის დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

იმერეთის გუბერნატორის **გივი ჭიჭინაძის** განცხადებით ტყის რაციონალურად გამოყენებას და ხეტყის რესურსის ეფექტურად მართვას დაარეგულირებს ტყის კოდექსის ახალი კანონი, რომლის პროექტი ბოლო ორი წლის განმავლობაში აქტიურად განიხილება და რომელიც საშემოდგომო სესიაზე მიეწოდება პარლამენტს. გივი ჭიჭინაძე, ამავე დროს, აუცილებელად მიიჩნევს სოფლების გაზიფიცირებას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს შეშის მოხმარებას. სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, ტყისადმი არასწორი დამოკიდებულებისა და მოსახლეობის მიერ ტყის მხოლოდ საშეშე მერქნად აღქმის გამო, არასახარბიელო მდგომარეობაშია იმერეთის რეგიონის ტყის მასივებიც.

ტყის მართვის სპეციალისტ **პაატა ტორჩინავას** ინფორმაციით, საქართველოს მერქნის ბაზრის პოტენციალის კვლევის მიხედვით, რომელიც 1 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, საშეშე და სამასალე მერქნის მოთხოვნისა და მიწოდების მონაცემები დაუბალანსებელია. პაატა ტორჩინავასვე განცხადებით, დიდია სხვაობა კანონიერად და უკანონოდ მოჭრილ მერქანს შორის. კვლევის მიხედვით, 2014 წელს დამზადებული ხე-ტყის 75 % უკანონოდაა მიჩნეული.

იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირის სპექტრის ეკოლოგიური პროგრამების ხელმძღვანელის **ლალი გამყრელიძის** განცხადებით ტყის შენარჩუნებისთვის ტყის ახალი კოდექსის მიღებასთან ერთად აუცილებელია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს რეგიონების მოსახლეობის ალტერნატიული საწვავით მომარაგებას.

Eka KEVANISHVILI/RFE/RL

სპეციალისტების განცხადებით ტყის ახალი კოდექსის მიღება და კანონის პრაქტიკაში აღსრულება, ეროვნული სატყეო კონცეფციისა და სატყეო სექტორის სტრატეგიის ამოქმედება, რომლებიც, თავის მხრივ, სატყეო რეფორმის აუცილებელი მდგენელებია, ხელს შეუწყობს საქართველოს ტყისა და მისი ბიომრავალფროვნების შენარჩუნებას. ტყის მართვის სპეციალისტების აზრით, ტყის ფონდის დასაცავად ასევე აუცილებელია დაცული ტერიტორიების ფართობის გაზრდა, რადგან ამჟამად საქართველოს დაცული ტერიტორიები მთლიანი ტყის ფართობის 8,5 %-ია, ეკოსისტემის შესანარჩუნებლად კი, ევროკავშირის რეკომენდაციით, 17 % უნდა იყოს.

თათა კაჭკაჭიშვილი

მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაცია გრძელდება

აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო აგრძელებს მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაციას. ამჯერად, სააგენტომ გიდებსა და ადგილობრივი ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებს ქედაში მერისის ტურისტული მარშრუტი გააცნო. ბათუმიდან 56 კილომეტრში არსებული, ჩანჩქერით, მინერალური წყლითა და ულამაზესი ბუნებით გამორჩეული მერისის ხეობა შესანიშნავი ადგილია ჰაიკინგის, კემპინგის, ისტორიულ-კულტურული ადგილებისა და ადგილობრივი მეურნეობის მართვის ტრადიციული ხერხების გასაცნობად.

ინფოტურის მონაწილეებმა მერისის ჩანჩქერი, ზენდიდის ციხე, გვახას საპიკნიკე ტერიტორია მოინახულეს და გუნდაურის მინერალური წყალი დააგემოვნეს. გარდა ამისა, დაათვალიერეს მერისში არსებული საოჯახო-სასტუმრო სახლები და იქ არსებულ სერვისებს გაეცნენ. სოფელ მერისში სამი საოჯახო-სასტუმრო სახლია მარკირებული, რომელთაგან ერთი - თურმანიძეების საოჯახო-სასტუმრო სახლი ფოლკლორის შესწავლის მსურველ ტურისტებს შორის პოპულარობით სარგებლობს. ოჯახის ყველა წევრი მღერის და სხვადასახვა საკრავზე უკრავს, რის შესასწავლადაც სასტუმრო სახლს ტურისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუმრობენ. ისინი ასევე სტუმრობდნენ ახალ საოჯახო-სასტუმრო სახლს სოფელ კორომხეთშიც, რომელიც მახუნცეთის ჩანჩქერთან ახლოს მდებარეობს და კარგი ადგილია ადგილობრივი კერძების დასაგემოვნებლად.

ᲕᲘᲡ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠ ᲜᲘᲐᲓᲐ�გᲖᲔ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘ?!

„ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“ — ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲨᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲪ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ. ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ: ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲯᲜᲐᲕᲡ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲘᲡᲔᲗ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲠᲘ Ჯ�გᲣᲤᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ, ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ 200-ᲛᲓᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲝ �გᲐᲘᲮᲡᲜᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲝᲔᲑᲘ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ.

�გᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐᲡ �გᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲔᲜ ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲔᲞᲝᲥᲐᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘᲖᲛᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲡ.

„ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲔᲰᲝᲕᲐᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ 11 ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲨᲘ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲨᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚ 19 ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲠᲐᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲛᲘᲔᲑᲣᲚᲘ.

„ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ 19 ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲧᲝ �გᲐᲛᲝᲛᲘᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐ�გᲐᲖᲔ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲡ. ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲛᲐ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲡ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲐᲨᲨ-Ს ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲨᲘ.

ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲐ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲖᲔ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲢᲐᲫᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲠᲒᲚᲘᲕ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲖᲔ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲠᲔᲡᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲨᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2016 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲐ. „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜ�გᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ“ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ **ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲑᲔᲒᲑᲐᲫᲔ** ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲨᲘ �გᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲠᲩᲔᲕᲡ.

„ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲐᲓ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲐ. ᲛᲝᲮᲡᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲡᲐᲙᲣᲚᲢᲝ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲨᲘ, ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ.

„ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡ�პᲘᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲒᲠᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲘᲧᲝ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡ�პᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲢᲝᲚᲔᲠᲐᲜᲢᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲑᲝᲗᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲩᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲩᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ ᲫᲔᲒᲚᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲠᲥᲕᲐ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ-ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲮᲓᲐ, �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ Ა�გᲕᲔᲨᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲔᲩᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲩᲔᲗᲘᲡ, ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲠᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ. ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲪ ᲛᲝ�გᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲩᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲛᲔ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲖᲘᲐᲠᲔᲑ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ, ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲘᲧᲝ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲡᲐᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ.

„ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲘᲔᲰᲝᲕᲐᲡ ᲛᲝᲬᲛᲔ ᲘᲧᲝ, ᲐᲜ ᲛᲣᲡᲣᲚᲛᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ. ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐ�გᲖᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲖᲔ. ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ, ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲝᲑᲐᲡ, ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ ᲐᲦᲡᲐᲧᲓᲠᲔᲑᲘᲡ 40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲐ — „ᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲑᲝᲛᲔᲗ, ᲮᲔᲚᲖᲔ ᲒᲔᲛᲗᲮᲕᲘᲝᲗ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲮᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲮᲐᲢᲝ...

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ, ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲘᲮᲘ ᲩᲐᲓᲘᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲰᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲡ ᲐᲡᲔ ᲔᲐᲛᲑᲝᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲡ ᲡᲪᲔᲛᲓᲔᲡ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲮᲐᲠᲗ“, — ᲐᲡᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲛᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲝᲑᲐᲡ. �გᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲒᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ.**

ᲘᲒᲘᲕᲔᲐ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ — **„ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲗ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲗ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ. ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲧᲝᲗᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲙᲐᲪᲡ ᲕᲮᲕᲓᲔᲑᲝᲛᲓᲐ“. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲩᲐᲒᲕᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ.**

ᲘᲒᲘᲕᲔᲐ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ — **„ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲗ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲗ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ. ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲧᲝᲗᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲒᲘᲒᲘ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲡᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ, ᲑᲝᲭᲝᲠᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲒᲐᲔᲪᲜᲔᲜ.**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲒᲘᲕᲘ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲡᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ, ᲑᲝᲭᲝᲠᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲒᲐᲔᲪᲜᲔᲜ.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲑᲝᲭᲝᲠᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, 1700082

ᲤᲠᲘᲓᲠᲝᲜ ᲗᲝᲠᲓᲣᲐ:

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲗᲛᲐᲒ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲕᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ, ᲗᲣ ᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ

ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სულისჩამდგმელი აკადემიკოსი **ᲤᲠᲘᲓᲠᲝᲜ ᲗᲝᲠᲓᲣᲐ** არაერთხელ ყოფილა ჩვენი გაზეთის სტუმარი. თუმცა, გამოცდილი და წარმატებული ექიმი ყოველთვის საინტერესო და სასიამოვნო რესპონდენტია.

ნებისმიერ საქმეში წარმატებას სჭირდება მებრძოლი სული და ჟინი, – ამბობს ბატონი ფრიდონი, იმისათვის რომ დამკვიდრდე და შენი ადგილი იპოვო ცხოვრებაში, საჭიროა სწავლა, შრომა. თავისთავად არაფერი კეთდება. ახლა, როგორც არასდროს, არის საჭირო პრინციპულობა, პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, საკუთარი სიმართლის გატანის უნარი.

მინდა, ჩემი ქვეყანა, მართლაც მშვენიერი, ასეთი კულტურითა და წარსულით იყოს შემდგარი სახელმწიფო. ამაში, ალბათ, არაფერია სადავო, ვფიქრობ, ეს არის ყველა რიგითი მოქალაქის სრულიად ბუნებრივი სურვილი, მაგრამ მარტო სურვილი არ არის საკმარისი, ამისათვის თითოეული ჩვენგანის, უკლებლივ ყველას შრომა და ძალისხმევაა აუცილებელი.

– ᲩᲔᲛᲘ აზრით, თავდაუზოგავი შრომისა და ძალისხმევის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საყოველთაო ჯანდაცვა, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს პროექტი საკმაოდ დასახვეწია. თქვენ რას იტყვით?!

– დიახ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის რეფორმები, რომლებიც გატარდა ჯანდაცვის სფეროში. საყოველთაო დაზღვევამ უამრავ ადამიანს მისცა საშუალება, ჩაეტარებინა მკურნალობა, რომლის შესაძლებლობაც ადრე არ ჰქონდა და ზოგჯერ იძულებული იყო, სახლ-კარი გაეყიდა. უდიდესი მიღწევაა ს ჰეპატიტის ელიმინაციის პიროგრამა. რად ღირს, რომ ონკოლოგიურ პაციენტებს უფასოდ უტარდებათ უძვირესი ქიმიო და სხივური თერაპია, აუცილებელი ქირურგიული ოპერაციები... ზოგადად ჯანდაცვის რეფორმები ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ქმედითი პროექტია.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ არსად მსოფლიოში იდეალური ჯანდაცვა არ არის. ამ მხრივ დიდი პრბლემებია თუნდაც ამერიკასა და ევროპის წამყვან ქვეყნებში. საქართველომ კი საყოველთაო დაზღვევის დანერგვა დაიწყო. თავიდან ბევრი სკეპტიკურად იყო განწყობილი და მეც ვფიქრობდი, რომ პროცესი იოლი არ იქნებოდა. ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოსთვის ძალიან რთულია, ბიუჯეტმა ასი პროცენტით დააფინანსოს ჯანდაცვა. სამუშაო ბევრია და იდეალური შედეგები საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებას, ცხადია, ასე ერთბაშად არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა, მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ სახელმწიფო დაზღვევა კარგად არის ორგანიზებული და ეფექტურად მუშაობს. ჯანმრთელობა ყველაზე დიდი სიმდიდრეა და ეს არ გახლავთ რიტორიკა – ჯანდაცვას დიდძალი ხარჯი სჭირდება. თუ ქვეყანას უნდა, რომ ცივილიზებული იყოს – მის ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება, მიიღოს ეს სიკეთე. ნამდვილად მინდა, მივულოცო ჯანდაცვის მესვეურებს, უფრო მეტად კი ჩვენს მოქალაქეებს ასეთი რთული პროექტის წარმატებით განხორციელება.

თუ გვინდა ევროპის განვითარებული ქვეყნების გვერდით დგომა, ჩვენი ჯანდაცვის, განათლებისა და მეცნიერების განვითარების დონე უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს.

– ჯანდაცვა, განათლება და მეცნიერება, შემთხვევით არ მოიხსენიეთ საერთო კონტექსტში. ბატონო ფრიდონ, კვლავ აქტიურად ხართ ჩართული მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამუშაო პროცესში?

– რა თქმა უნდა! მე ვარ აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, ვუძღვები მედიცინისა და ფიზიოლოგიის განყოფილებას. გულწრფელად მიმაჩნია, რომ ცივილიზებული სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობა არის ფუნდამენტური მეცნიერების შენარჩუნებასა და განვითარებისათვის ზრუნვა. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სირთულეების ფონზე მეცნიერება ერთ-ერთი ყველაზე უმწეო სფერო ხდება, რომელსაც აუცილებლად სჭირდება, ისევე როგორც განათლებასა და სამედიცინო დახმარებას სახელმწიფოს მხარდაჭერა.

ჩვენი აკადემიის აკადემიკოსები ნამდვილად ისტორიული პიროვნებები არიან და მათ არა მარტო სამეცნიერო, არამედ ღირსეულ საზოგადო მოღვაწეობას უთუოდ დააფასებს ქართველი ერი. აუცილებელია, რომ ამ მართლაც ლეგენდარულ პიროვნებებთან მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს ახალგაზრდობას. მომავალი თაობები წინაპართა მაგალითებზე უნდა აღიზარდონ.

იყო პერიოდი, როდესაც აკადემია პრაქტიკულად გაქროდა წინაშე იდგა.ზოგს პრივატიზება უნდოდა, ზოგს – რა და ზოგსაც – რა... აკადემიკოსებს, უდიდესი დამსახურების მქონე ადამიანებს ხელფასი 120 ლარი ჰქონდათ, მდგომარეობა მართლაც რომ სავალალო იყო. წარმოიდგინეთ, ამ ბუმბერაზ ადამიანებს ცხოვრების მინიმალური საჭიროებისთვის ზოგჯერ თანაშრომლები ვუგროვებდით ფულს. **ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲨᲘ. ᲡᲬᲝᲠᲘᲐᲓ ᲘᲛ ᲫᲘᲛᲘᲓ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲛ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲔᲪᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲜᲢᲐᲜᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ. ᲨᲔᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ 1000 ᲚᲐᲠᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲡ ᲓᲐᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘᲓᲐᲜ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔᲡ ᲨᲔᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔ ᲔᲡ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ, ᲛᲐᲡ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲔᲮᲐᲠᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠ-ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲔᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲓᲐ 500 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲒᲕᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲕᲔ ᲓᲐᲣᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ 1000 ᲚᲐᲠᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ, 500 ᲚᲐᲠᲡ ᲬᲔᲕᲠ-ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ – 90-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ 50 ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ.

9 წელიწადი, მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი, რაც ჩემთვის ყველაზე საამაყოა. ამ პერიოდში მუდმივად ვგრძნობდით ფინანსურ მხარდაჭერას ბატონი ბიძინას მხრიდან. აკადემიის პრეზიდენტ თამაზ გამყრელიძესთან ერთად, შევძელით, გაგვეზარდა ბიუჯეტი, იმ გაჭირვებიდან გამოვსულიყავით და მეცნიერებათა აკადემია შეგვენარჩუნებინა!

განათლებაც და მედიცინაც ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობასთან და მისგან განყენებულად ამ სფეროებზე მსჯელობა პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთი კი ცხადია, ყველამ რომ თავისი საქმე კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად აკეთოს, ბევრი რამ მოწესრიგდებოდა.

დღეს ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის სრულიად გაუგებარია მეცნიერების მნიშვნელობა, ეს არა მხოლოდ დასანანი, სავალალოცაა ქვეყნის განვითარებისთვის.

რუსთაველზე გამვლელთაგან ბევრმა არც კი იცის, რომელია მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობა.

რომელ განათლებაზე შეიძლება საუბარი ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების გარეშე?!

გული მწყდება, ჩვენი თანამემამულენი საზღვარგარეთ რომ მიდიან და იქ აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებებს და როგორც წესი, მათ შორის საუკეთესონი იქვე რჩებიან სამუშაოდ. ჩვენთან საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო იმგვარი დამოკიდებულება მეცნიერთა მიმართ, რომელმაც დაუკარგა ახალგაზრდებს ამ სფეროში მოღვაწეობის ხალისი. ამან გამოიწვია ინტელექტუალური კადრების გადინება საზღვარგარეთ. ნებისმიერი ქვეყანა სიხარულით ღებულობს ჩვენს განათლებულ და ერუდირებულ სპეციალისტებს სხვადასხვა დარგში.

ვფიქრობ, ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც მეტ-ნაკლები დრო გაუტარებია სამშობლოს გარეთ, განუცდია ნოსტალგიის გრძნობა. ჩემი აზრით, ნებისმიერი წარმატება ათმაგ კმაყოფილებას განიჭებს, თუ ის საკუთარ ქვეყანაშია მიღწეული.

დღეს აღარ წარმოადგენს დიდ სირთულეს საზღვარგარეთ გამგზავრება, ყველას მოგვწონს განვითარებული, დალაგებული, დემოკრატიული პრინციპებით მართული ქვეყნები, მაგრამ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მაინც მგონია, რომ ქართულ ბუნებაში დევს რაღაც მარცვალი, რომელსაც ადრე თუ გვიან ისევ სახლისკენ მოყავხარ და ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა. ძალიან მინდა, ის, რისთვისაც მივდივართ საზღვარგარეთ, აქ ჩვენს ქვეყანაში განვავითაროთ.

– ალბათ ამ ძალამ თუ განცდამ „გადმოგაგდოთ“ რუსეთიდან საქართველოში, თუ ეს იყო კარგად გააზრებული და დაგეგმილი ნაბიჯი? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენ იყავით წარმატებული და შემდგარი ექიმი მოსკოვში, რომელსაც საუკეთესო კარიერა უკვე ჰქონდა...

– ბავშვობიდან ვოცნებობდი ექიმობაზე. ვერ გეტყვით, იყო ეს ბავშვობის ოცნება, ახალგაზრდული გატაცება თუ სხვა რამ, მაგრამ ყოველთვის მიმაჩნდა რომ ეს იყო ყველაზე კეთილშობილი პროფესია ამ ქვეყნად. და მინდა გითხრათ, მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ შემპარვია ეჭვი ჩემი არჩევანის სისწორეში.

მაშინდელ სამედიცინო საზოგადოებაში მოსკოვის ქირურგიის ინსტიტუტი ითვლებოდა მედიცინის ტაძრად და მართლაც ასე იყო. იქ მოხვედრა ნებისმიერი ახალგაზრდისთვის იყო რეალურად დიდი შანსი წინსვლისა და განვითარებისთვის.

მოსკოვში ცხოვრება და მუშაობა, მით უმეტეს ქირურგის, იოლი არ გახლდათ და ამას არც ველოდი, 21 წლისა ვიყავი, როცა მოსკოვში წავედი. დავიცავი საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები, გავხდი პროფესორი, სახელმწიფო პრემიის, აგრეთვე სხვა პრესტიჟული ჯილდოების მფლობელი და ბედნიერად ვთვლიდი თავს, რომ უდიდეს ადამიანებთან და პროფესიონალებთან, ცოცხალ ლეგენდებთან ერთად მიხდებოდა მუშაობა.

– თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველთაგანი ვინც საბჭოთა კავშირში კომპიუტერულ ტომოგრაფიას ჩაუყარა საფუძველი... ახლახან მოკოვში გამოიცა წიგნი, სადაც დეტალურად არის გადმოცემული კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების შექმნის ისტორია.

– 1980 წელს მივლინებული ვიყავი გერმანიაში მიუნჰენის საუნივერსიტეტო კლინიკაში, სადაც პირველად ვნახე მაშინდელი სამედიცინო ტექნიკის სასწაული – კომპიუტერული ტომოგრაფი და მოსვენება დავკარგე. მოსკოვში დაბრუნებისთანავე მოვუყევი ნანახის შესახებ ქირურგიის ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორს აკადემიკოს კუზინს, იგი ძალზე პროგრესული ადამიანი იყო და კარგად იცოდა კომპიუტერული ტომოგრაფიის შესაძლებლობაც და მნიშვნელობაც, მაგამ ისიც ცხადი იყო, რომ მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, ასეთი აპარატურის შემოტანა არ მოხერხდებოდა. მოსკოვში ცხოვრების პერიოდში ბევრი მეგობარი გავიჩინე, მათ შორის იყო მაშინდელი ცეკას პირველი მდივნის ერთ-ერთი თანაშემწე. ერთხელ რომ-გორღაც მასთან სტუმრობისას მოვყევი კომპიუტერული ტომოგრაფიის შესახებ და აქედან გადაიდგა პირველი ნაბიჯები. სწორედ ამ ადამიანის შუამდგომლობით რეზოლუცია დაედო პირველი კომპიუტერული ტომოგრაფის შეძენას და ასე შეიტანეს ის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში ქვეყანაში პირველი კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების შექმნასთან.

მომიხდა, გავმხდარიყავი მშენებელი მეურნეც, მომმარაგებელიც. წარმოუდგენელი აჟიოტაჟი ატყდა. ნამდვილ ფანტასტიკად აღიქმებოდა მედიცინის ეს ახალი სფერო. რამდენი კოსმონავტიც გაფრინდებოდა, აუცილებლად ვნახულობდით კომპიუტერულ ტომოგრაფზე. კულტურისა და მეცნიერების ყველა ცნობადი სახე ჩემი პაციენტი იყო. მიხდებოდა ურთიერთობა სახელმწიფო მოღვაწეებთან. ვიყავი ეგრეთ წოდებული მეოთხე სამმართველოს კონსულტანტი კომპიუტერულ ტომოგრაფიაში.

– და ამის მიუხედავად, მაინც დაბრუნდით უშუქო, უწესრიგო, უპერსპექტივო საქართველოში?

– 9 აპრილმა უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემზე. ეს იყო უდიდესი შოკი, სტრესი. რეალობად ისახებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა, სწორედ ამ დროს გადავწყვიტე, დავბრუნებულიყავი სამშობლოში და მეც ვყოფილიყავი მონაწილე ამ ისტორიული პროცესებისა. მეგონა 6 თვეში შვეიცარიად გადავიქცეოდით, მაგრამ... გარდაქმნის პერიოდი ურთულესი აღმოჩნდა... კრიმინალი, უშუქობა, ნგრევა ყველაფრის...

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲜᲙᲝ ᲐᲮᲐᲚ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲡ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ

ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲐᲖᲔ, ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ... ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ ᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲐᲡᲔ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲛᲔ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲩᲔᲛᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲪ. ᲐᲠ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲠᲝ — ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲠᲘᲡᲒᲐᲜ? ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ? ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲥᲛᲘᲗ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ, ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ...

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲗᲔᲐ ᲛᲝᲡᲘᲐ

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ 1945 წლის აპრილს. სწორედ ამ თვეში უინსტონ ჩერჩილმა გასცა ბრძანება, დაემუშავებინათ საბრძოლო ოპერაციის გეგმა. არა გერმანიის და არც ჯერ კიდევ ბრძოლაში მყოფი იაპონიის წინააღმდეგ, არამედ ანგლოსაქსების მოკავშირე სსრ კავშირის წინააღმდეგ. 1998 წელს განსაიდუმლოებულ მის პირად დოკუმენტებში არის 1945 წლის 22 მაისს დათარიღებული ექსტრემალური ოპერაციის „წარმოუდგენლის“ გეგმა. დოკუმენტების ხასიათი და მოცულობა, აგრეთვე მათი დამუშავების მასშტაბი საშუალებას იძლევა დავასკვნათ – სსრ კავშირის მოკავშირე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დავალება გასცა არაუგვიანეს 1945 წლის აპრილის. ესე იგი რუსეთი და ინგლისი ჯერ კიდევ ერთად იბრძოდნენ ნაციზმის წინააღმდეგ, რომ ერთ-ერთი მოკავშირე უკვე ემზადებოდა ზურგში ჩაერტყა დანა მეორისათვის. და ამ დროს გთხოვთ, შენიშნოთ, რომ არც ერთი რუსოფობი ისტორიიდან, არც ერთი „სვანიძე“ ან „მლეჩინი“ არასოდეს ლაპარაკობდა საბჭოთა კავშირის გეგმების შესახებ – დაერტყა თავისი დასავლელი მოკავშირეებისთვის 1945 წლის გაზაფხულზე. უბრალოდ იმიტომ, რომ ასეთი გეგმები წარმოდგენაშიც არ ჰქონია. ეს საკითხისთვის სისხლისმსმელობისა და სურვილის შესახებ – დაეპყრო მსოფლიო და იმის შესახებ, თუ ეს სურვილი ვისთვისაა დამახასიათებელი დღევანდელ დღემდე.

ოპერაცია „წარმოუდგენლის“ შესაძლო დაწყება დაგეგმილი იყო 1945 წლის 1 ივლისისთვის.

საერთო ჩანაფიქრი ასეთი იყო – მოულოდნელი (ომის გამოცხადების გარეშე) ყველაფრის გამანადგურებელი დარტყმა რუსეთის არმიაზე ევროპაში. შემდეგ – შეტევა იქ, საიდანაც ჩვენმა ხალხმა ახლახან განდევნა ჰიტლერი. მოკავშირეების სტრატეგიული ავიაცია ემზადებოდა აღეგავა პირისაგან მიწისა სსრ კავშირის უდიდესი ქალაქები. სპეციალურად სერ უინსტონ ჩერჩილის თაყვანისმცემლებისათვის, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ისტორიის ცუდი ცოდნის გამო ცოტა როდია, მომყავს ანგლოსაქსების გეგმის პუნქტები. ოპერაციის გეგმა არის ის, რომ „აიძულონ რუსეთი, დაემორჩილოს შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის იმპერიის ნებას“. მიზნის მისაღწევად „მოკავშირეები“ გეგმავდნენ.

ა) მოხდეს შინაგანი რუსეთის იმ რაიონების ოკუპაცია, რომელთა დაკარგვის გამოც ქვეყანა დაკარგავდა ომის წარმოების მატერიალური საშუალებისა და წინააღმდეგობის შემდგომი გაწევის შესაძლებლობას;

ბ) მოხდეს რუსეთის შეიარაღებული ძალების ისეთი გადამწყვეტი დამარცხება, რაც წაართმევს სსრ კავშირს ომის გაგრძელების საშუალებას.

წაიკითხეთ? ახლა ახსენით სხვაობა გერმანიის გეგმა „ბარბაროსასა“ და იმ მიზნებს შორის, რასაც ისახავსდა 1941 წელს ადოლფ ჰიტლერი. ფიურერის გეგმა იყო სსრ კავშირის, როგორც სამხედრო ფაქტორის, ჩამოშორება და რუსების დამორჩილება გერმანიის ნების წინაშე. ამასვე ცდილობდნენ ინგლისელები ჰიტლერზე ოთხი წლით გვიან, რომელმაც დაამუშავა ოპერაცია „წარმოუდგენელი“. გეგმა „ბარბაროსას“ თანახმად, გერმანელები აპირებდნენ, მოეხდინათ სსრ კავშირის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია და სასაზღვრო შეტაკებებში წითელი არმიის ძირითადი ძალების განადგურება, რასაც, მისი აზრით, საბოლოოდ უნდა მიეტანა რაიხისათვის გამარჯვება რუსებთან ომში. ზუსტად ასეთივე იყო ინგლისელი „კოლეგების“ გეგმებიც. მაშ რა არის სხვაობა? სხვაობა ისაა, რომ ჰიტლერი მოქმედებდა მეტად ცალხაზოვნად და პროპაგანდას „რუსეთის სისხლიანი ბოლშევიკებისგან გათავისუფლების შესახებ“ იყენებდა მეტად სუსტად. მისი გამოცდილებით ანგლოსაქსები დაბომბავდნენ ჩვენს ქალაქებს და დაწვავდნენ ჩვენს სოფლებს ლამაზი ჰუმანიტარული სლოგანებით. ზუსტად ისე, როგორც ისინი მას აკეთებდნენ ჩვენს დღეებში სერბეთში, ერაყში, ავღანეთსა და ლიბიაში. ყველაფერ დანარჩენში არანაირი სხვაობა არაა.

ოპერაცია „წარმოუდგენელი“ არ შედგა მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა დამმუშავებლებმა ძალთა შეფარდება ევროპაში მიიჩნიეს არა თავის სასარგებლოდ. გადაწყვიტეს დალოდებოდნენ მოკავშირეებთან ატომური ბომბის გამოჩენას. რა წინააღმდეგობა შეუძლია გაუწიოს ამ ფაქტებს თანამედროვე რუსმა ლიბერალმა? დიდი ბრიტანეთი ემზადებოდა ომისთვის ტოტალიტარულ რეჟიმთან. მხოლოდ ამით აიხსნება ინგლისელების ასეთი „ვერაგობა“.

ჩერჩილის ფულტონის სიტყვების შესახებ ბევრს მოუსმენია – სწორედ მან მისცა სტარტი ცივ ომს. და სტარტი ამ ომს მისცა სწორედ დასავლეთმა ჩერჩილის სახით. მაგრამ ცოტას თუ წაუკითხავს თავად ფულტონის სიტყვა – და სამწუხაროდ. მასში ყველაფერი ნათქვამია საკმაოდ ღიად. ავიღოთ თუნდაც ეს ციტატა: „არ მისცეთ არც ერთ ადამიანს იმის შესაძლებლობა, რომ არ შეაფასოს ბრიტანეთის იმპერიის მყარი ხელისუფლება“. როგორ ფიქრობთ, ვის მიმართავდა ამ სიტყვებში ჩერჩილი? სტალინს. ასე რომ, სწორედ სტალინის გადაწყვეტილებამ – შეუტიონ ბერლინს – გადაარჩინა სამყარო მესამე მსოფლიო ომს. ინგლისელებმა ვერ გარისკეს ეომათ არმიასთან, რომელმაც მოკლე ვადაში აიღო უძლიერესი ციხე-სიმაგრე. როდესაც ღებულობდა გადაწყვეტილებას იერიშით აეღოთ გერმანიის დედაქალაქი, სტალინმა აჩვენა მოკავშირეებს თავისი არმიის სიძლიერე ისევე, როგორც აჩვენა მას თავისი ავიაციის სიძლიერე, როდესაც ფერფლად აქცია უბედური დრეზდენი. ბრიტანელმა სამხედროებმა აცნობეს თავის პრემიერს, რომ სწრაფი გამარჯვება არ იქნება. პატიოსნად და დიდხანს ბრძოლა კი ანგლოსაქსებმა არ იციან. და ცხელი თავები გაცივდნენ. მესამე მსოფლიო ომი, რასაც ჩვენი ინგლისელი „პარტნიორები“ გეგმავდნენ 1945 წლის 1 ივლისისათვის, არ მოხდა. რამდენი სიცოცხლე, რამდენი მილიონი სიცოცხლე გადაარჩინა სტალინმა თავისი გადაწყვეტილებით? მან ვერ შეძლო შეეჩერებინა ჰიტლერი, მაგრამ შეძლო შეეჩერებინა ჩერჩილი. ბერლინის შტურმი განხორციელდა სწრაფად და მკაფიოდ. 1945 წლის 2 მაისს ბერლინის გარნიზონი კაპიტულირებული იყო.

მაგრამ ამის შემდეგაც კი ჩვენი მამაცი მოკავშირეები ვერ დაშოშმინდნენ, აგრძელებდნენ დიპლომატიური ტრიუკების გამოწერას. სტალინს უწევდა ლამის ყოველ ნაბიჯზე დაპირისპირებოდა მათს მცდელობებს. 7 მაისს ქალაქ რეიმსში გერმანიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კაპიტულაციას მხოლოდ მოკავშირეების წარმომადგენლებისა და მოკავშირეების შტაბთან არსებული გენერლის სუსლოპაროვის წინაშე, რომელიც სიტუაციაში ვერც გაერკვა. ესე იგი სსრ კავშირის მხრიდან აღმოჩნდა სრულიად შემთხვევითი პირი, რომელსაც უფლებამოსილებაც არ ჰქონდა. წვრილმანია, არაფერია? არა, როდესაც ვიცით, რომ ჩერჩილი აპირებდა ოპერაციას „წარმოუდგენელი“, საერთო ჩანაფიქრი გასაგები ხდება. გერმანელების კაპიტულაცია მხოლოდ დასავლეთის წინაშე უტოვებდა გერმანიას იურიდიულ შესაძლებლობას, შეერთებოდა ბრძოლას აღმოსავლეთის წინააღმდეგ. ბერლინი ღებულობდა ოფიციალურ უფლებას შესულიყო კოალიციაში სსრ კავშირის წინააღმდეგ. მხოლოდ მოსკოვში სერიოზული ზემოქმედების ქვეშ ამერიკელები და ინგლისელები დათანხმდნენ, გაემეორებინათ კაპიტულაციის ცერემონია უკვე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობით. რა არის ნიშანდობლივი – იალტის კონფერენციაზე მომზადდა შეთანხმების ტექსტი გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ მოკავშირეების წინაშე. მას იალტაში ხელი მოაწერეს რუზველტმა, ჩერჩილმა და სტალინმა.

„მაგრამ ამერიკელებმა ისე წარმოგვიდგინეს თავი, რომ დაივიწყეს დოკუმენტის არსებობის შესახებ, რომელიც, სხვათა შორის, ეიზენჰაუერის შტაბის უფროსის – სმიტის სეიფში იდო. ეიზენჰაუერის გარემოცვამ სმიტის ხელმძღვანელობით შეადგინა ახალი დოკუმენტი, რომელიც „გათავისულფებული“ იყო იალტის დებულებების მოკაშვირეებისთვის არასასურველი დებულებებისაგან. ამ დროს დოკუმენტს ხელი მოაწერეს გენერალმა სმიტმა მოკავშირეების სახელით, საბჭოთა კავშირი კი საერთოდ არ იყო ნახსენები, თითქოს ომში არც მონაწილეობდა“.

ჩვენი „მოკავშირეების“ ეშმაკობის არანაკლებ თვალსაჩინო დემონსტრაციაა პოტსდამის კონფერენციის მეორე საინტერესო ეპიზოდი. დასავლეთის სიძლიერე ემყარება ბრიტანეთისა და ამერიკის ფლოტის უპირატესობას. ასე იყო ადრე, ასეა ახლაც. შემთხვევითი როდია, რომ „დემოკრატებმა“, რომლებიც სსრ კავშირის ხელისუფლებაში მოვიდნენ, სასწრაფოდ დაიწყეს ფლოტის ხერხვა. თანაც ხერხვა პირდაპირი გაგებით – ხერხავენ უახლეს ხომალდებს, ანადგურებენ სუბმარინებს. დაუყოვნებლივ შეაჩერეს საბჭოთა ავიამზიდი კრეისერების სერია, რომლის ამოქმედებასაც აპირებდნენ საბჭოთა პერიოდის სულ ბოლოს. მოკლედ რომ ვთქვათ – ანგლოსაქსების გარდა ფლოტი არავის არ უნდა ჰქონდეს. აი მათი პოლიტიკის რკინის წესი. კონფერენციაზე კი დადგა საკითხი, თუ რა უნდა უყონ გერმანიის ფლოტს. ლოგიკური იყო მისი დაყოფა, სწორია? მაშინ სსრ კავშირი მიიღებს თავისი სამხედრო-საზღვაო სიძლიერის დამატებას. და აი სიტყვას იღებს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი. ლაპარაკობს ლამაზად და დამაჯერებლად. მისი სიტყვის არსი ასეთია: გერმანიის ფლოტი უნდა ჩაიძიროს. სტალინი ზის ჩერჩილის გვერდით და იღიმის. მთელი თავისი გამომეტყველებით სტალინი უჩვენებს, რომ ეთანხმება ბრიტანეთის პრემიერს. მხოლოდ ტაშს არ უკრავს. ჩერჩილი კიდევ უფრო შორს მიდის, მეტი მჭევრმეტყველება – აზრი კი იგივეა. უნდა ჩაიძიროს ფლოტი! სიტყვა დამთავრდა. სიტყვას იღებს სტალინი. და ამბობს, რომ მთლიანად ეთანხმება სერ უინსტონს. გერმანიის ფლოტი მართლაც უნდა ჩაიძიროს. ამიტომ სსრ კავშირი მიესალმება, რომ ნადავლი ფლოტის თავის ნაწილს დიდი ბრიტანეთი ასეც მოექცევა. საბჭოთა კავშირს კი უნდოდა, მიეღო გერმანიის ხომალდების თავისი ნაწილი, რათა შემდეგ გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს. მდუმარე სცენა. შედეგად ჩერჩილს მოუწია დაეთმო ამ საკითხშიც. მიიღეს გადაწყვეტილება, თანაბრად განაწილდეს სსრ კავშირს, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გერმანიის მთელი წყალზედა სამხედრო-საზღვაო ფლოტი, მათ შორის ის გემებიც, რომლებიც შენდება და რემონტშია. გერმანიის წყალქვეშა ნავები მაინც ჩაძირეს – ერთგვარი კომპრომისის სახით. „გემთმავალ“ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს სწორედ წყალქვეშა ფლოტის ეშინოდათ.

1945 წლის 8 აგვისტოს სსრ კავშირმა ოფიციალურად გაწყვიტა შეთანხმება იაპონიასთან, და როგორც ჯერ კიდევ იალტის კონფერენციაზე გადაწყდა და დაზუსტდა პოტსდამის კონფერენციაზე 1945 წლის 9 აგვისტოს საბჭოთა ჯარებმა, ხომალდებმა და წყნარი ოკეანის ფლოტის ნაწილებმა დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები იაპონიის ჯარების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში. იაპონიის ბედი გადაწყვეტილი იყო. მიუხედავად ამისა, სწორედ იმისთვის, რომ თვალსაჩინოდ ეჩვენებინათ სტალინისთვის ახალი იარაღის სიძლიერე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბირთვული დარტყმა მიაყენა იაპონიის ქალაქებს. ზუსტად ისე, როგორც მანამდე ნახევარი წლით ადრე მიწასთან გაასწორეს დრეზდენი, რათა ეჩვენებინათ თავისი სტრატეგიული ავიაციის სიძლიერე. სწორედ ზემოქმედება სსრ კავშირზე და არა სამხედრო აუცილებლობა გახდა იმის მიზეზი, რომ ანგლოსაქსებმა მიაყენეს ბირთვული დარტყმა იაპონიას. „მოკავშირეები“ კვლავ უჩვენებდნენ სტალინს კბილებს. რა შთაბეჭდილება მოახდინა სსრ კავშირის მეთაურზე 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ხიროსიმასა და ნაგასაკის განადგურებამ? როდესაც სწავლობ დოკუმენტებს, მიდიხარ დასკვნამდე, რომ ძლიერი. მაგრამ სულაც არა ისეთი, როგორც ანგლოსაქსებს წარმოედგინათ. სტალინს არ დაუკარგავს თავისი სტილი – დაიცვას ქვეყნის ინტერესები, მაგრამ ავანტიურაში არ ჩაებას. სსრ კავშირის სტალინური პოლიტიკა სულაც არ შეცვლილა. იგი როგორი პრაგმატულიც და იდეოლოგიური შოპებისგან თავისუფალიც იყო, ისეთივე დარჩა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-150, 154, 156, 157-160, 164

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

◎ სამზარეულოს საიდუმლოებანი

ხორცისჭამელი ერი

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს წამყვან დიეტოლოგთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთხმად გაიძახის, რომ, ზოგადად, ხორცის ჭამა ორგანიზმისთვის ძალიან საზიანო თუ არა, ყოველ შემთხვევაში არც დიდი სარგებლის მომტანია. ამის კარგი მაგალითია ესპანელები, რომლებიც ბევრ ხორცსაც მიირთმევენ და დიდხანსაც ცოცხლობენ.

იქნებ, ამიტომაცაა, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის დიეტა იუნესკომ კაცობრიობის მსოფლიო მემკვიდრეობად აღიარა. მისი სარგებლიანობის შესახებ უამრავი რამ ითქვა და დაიწერა, ოღონდ ამ დროს აქცენტები, უმეტესად, მის ფრანგულ ან იტალიურ ვარიანტებზე კეთდება ხოლმე. ხმელთაშუაზღვისპირული დიეტის სხვა ვერსიაა ესპანეთში, რომლის სამზარეულოში ზეითუნის ზეთის, ანდალუზიური ზეთისხილის, გალისიური ზღვის პროდუქტებისა და, რაღა თქმა უნდა, იბერიული ჰამონების ზეობაა. ხორცის დელიკატესებს ესპანურ სამზარეულოში საგანგებო ადგილი უკავიათ, მათ გარეშე არც ერთი სუფრა არ იმართება.

ესპანელები — ხორცისმჭამელთა ერია, აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება იყოს უკიდეგანო საძოვრებისა და კორიდის ქვეყანაში? ხორცს ბავშვები მანამდე აგემოვნებენ, ვიდრე წლიანი გახდებიან, ზრდასრულები ხომ მას მთელი ცხოვრების მანძილზე მიირთმევენ, უარს არც სოლიდურ ასაკში ამბობენ შემწვარ-მოხრაკულით კუჭისთვის ზეიმის მოწყობაზე.

სტატისტიკის მიხედვით ესპანელი წითელ და თეთრ ხორცს კვირაში სულ მცირე 2-3-ჯერ მიირთმევს, სუბპროდუქტების (ღვიძლის, თირკმლების, გულის, შიგნეულის) მოხმარების მხრივ კი ესპანეთი ევროპაში პირველ ადგილზეა. ჭამით იქ ხარის კუდსაც კი მიირთმევენ, რომელიც ჭეშმარიტ დელიკატესად ითვლება. ესპანელები საჭმელად შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ყველა სახეობას იყენებენ, რომლებიც იბერიის ნახევარკუნძულზე ბინადრობენ და რომელთა მოშენებას მისდევენ. აქაური მზარეულები კი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოებად ითვლებიან — მათი რესტორნები ლიდერები არიან „კულინარიული ოსკარების“ — მიშლენის ვარსკვლავების მხრივ.

ყოველ ესპანურ პროვინციაში საკუთარი განსაკუთრებული საფირმო ხორციანი კერძებია. მაგალითად, სამხრეთში, ანდალუზიაში სუფრას მუდამ ამშვენებს შებოლილი მთის ლორი — ჰამონ სერანო, საუკეთესო მოთუშულ ხორცს კი სეგოვიაში ამზადებენ. არაგონისა და ნავარის მთებში (ეს კი ქვეყნის ჩრდილოეთია) ჩინებულად ამზადებენ ცხვრის ხორცს. მეცხვარეთა საფირმო კერძია „მთის სატაცური“ — ანუ ცხვრის კუდი. კანტაბრიის სანაპიროს სუფრის მშვენებაა მწყერი ვაზის ფოთოლში და ბრინჯიანი ქათამი, რომელსაც გალისიაში ხშირად ჯერ რძეში ხარშავენ, მერე კი ნაღების კარაქში წვავენ. იქ ასევე უგემრიელესად ამზადებენ იხვს თალგამურით და ღორის ქონში შემწვარ, ანდა ლობიოსთან და ბრინჯთან ერთად მოხარშულ ქათამს.

ხორცს ესპანელები დიდი შემოქმედებითა და შთაგონებით ამზადებენ: ისინი მას ხერესის ჯიშის ღვინოში თუშავენ, მწვანილის გარდა ნუშსაც უმატებენ. მეტიც: არის სრულიად ეგზოტიკური კერძები, მაგალითად ხორცი... შოკოლადის საწებლით ანდა ბოცვერი ხამანწკებით, ქიშმიშიანი მტრედები...

მაგრამ ხორცის კერძებში ესპანელთა მთავარი ეროვნული განძი მაინც ჰამონ იბერიკოა, ღორის უმად შებოლილ ბარკალთა ხელმწიფე. მას მხოლოდ უნიკალური შავი ჯიშის ღორების ხორცისგან ამზადებენ, რომლებიც მხოლოდ იბერიული მუხის რკოს ჭამენ. **იმის მიუხედავად, რომ დიეტოლოგთა უმრავლესობა ღორის ხორცს არ წყალობს, ჰამონის მიმართ პრეტენზიები არა აქვთ. მეტიც: სწორად დამარილებული და შებოლილი ჰამონი არ შეიცავს „მავნე“ ქოლესტერინს და ექიმების მიერ დიეტურ საკვებადაა მიჩნეული, რომლებიც მას შაქრის დიაბეტიან, ავთვისებიან სიმსივნეთა ამოკვეთილ, სისხლის ნაკლებობის მქონე და ანემიურ, ასევე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მრავალი სახეობის სხვა პრობლემის მქონე ადამიანებს ურჩევენ.**

ესპანეთში ხორცის კერძების ამ უსასრულო დღესასწაულის მიუხედავად, იქაური ხალხი კარგი ჯანმრთელობითა და დღეგრძელობით გამოირჩევა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2015 წლის მონაცემებით, სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით — 82,5 წელი — ესპანეთი მეხუთე ადგილზეა. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. **პირველი:** ესპანურ დიეტაში საოცრადაა შეხამებული ცხოველური და მცენარეული ცხიმები: ესპანელები ძალიან ბევრ ლებნიანს მიირთმევენ, რომლებიც დიდად სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა, ნივთიერებათა მიმოცვლის დარღვევისა და ჭარბი წონის მქონე ადამიანებისთვის. **მეორე:** თითქმის ყველა კერძში ზეითუნის ზეთი იხმარება, რომელიც მონოგაჯერებული ცხიმოვანი მჟავების უნიკალური წყაროა, რომელიც აქვეითებს „ცუდი“ და ამაღლებს „კარგი“ ქოლესტერინის დონეს. **მესამე:** ესპანეთი დიდებული თეთრი მშრალი ღვინის სამშობლოა, რომლის ერთი ბოკალი ნებისმიერი სადილის აუცილებელი ატრიბუტია. ალკოჰოლი კი, როგორც ცნობილია, ორგანიზმს ცხოველური ცილებისა და ცხიმების მონელებაში ეხმარება. და **მეოთხე:** ესპანელებს არა მარტო ხორცი, არამედ ახალი თევზიც და ზღვის პროდუქტებიც უყვართ, რაც ჯანმრთელობისთვის ასევე ძალიან სასარგებლოა.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

მსოფლიოს საუკეთესო ქალაქები - DEUTSCHE BANK-ის რეიტინგი

Deutsche Bank-მა ტრადიციული ყოველწლიური რეიტინგი Mapping the world's prices გამოაქვეყნა, რომელშიც მოყვანილია სხვადასხვა ქალაქებში ძირითად საქონელზე და მომსახურებაზე ფასების შედარებითი ანალიზი.

2017 წელს ბანკმა შეფასების კრიტერიუმებს ცხოვრების ხარისხი დაუმატა.

გამოკვლევაში მოყვანილია 47 ქალაქის მონაცემები ისეთ პარამეტრებში, როგორც მსყიდველობითუნარიანობა, უსაფრთხოება, ჯანდაცვა, კლიმატი, და ა.შ.

10.სიდნეი, ავსტრალია

ქალაქი განთქმულია საოპერო თეატრით და პლიაჟებით. სიდნეის საცხოვრებელი კვარტლები გარშემორტყმულია ეროვნული პარკებით, სანაპიროზეა უამრავი პატარა სრუტე, კუნძულები და პლიაჟები. სიდნეი არის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და მულტიკულტურული ქალაქი, რაც გამოწვეულია იმით, რომ იქ ცხოვრობს ავსტრალიაში ჩამოსულ მიგრანტთა დიდი ნაწილი.

9. ამსტერდამი, ჰოლანდია

ამსტერდამი არის ჰოლანდიის დედაქალაქი და ყველაზე დიდი ქალაქი. ის ასევე არის ქვეყნის კულტურული და ფინანსური ცენტრი. აქ განთავსებულია მსოფლიოს უმსხვილესი 500 კომპანიიდან 7-ის სათავო ოფისები — მათ შორის Philips და ING Groep. ასევე ქალაქის ცენტრშია განლაგებული მსოფლიოს უძველესი საფონდო ბირჟა. ამსტერდამშია ასევე საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაციის „გრინფისის“ ცენტრალური ოფისი.

8. ბოსტონი, აშშ

ბოსტონი არის ამერიკის შტატ მასაჩუსეტსის და ასევე ახალ ინგლისად ცნობილი რეგიონის ყველაზე დიდი, აშშ-ში ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ქალაქი. ბოსტონი გარეუბნებით შედის ამერიკის ყველა დიდი ქალაქების ათეულში და მსოფლიოს 50 უდიდესი ქალაქების სიაში. მან დაიკავა აშშ-ში პირველი ადგილი ცხოვრების ხარისხის მიხედვით.

7. ოტავა, კანადა

ოტავა კანადის დედაქალაქია, სიდიდით ქვეყნაში მეოთხეა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ოტავა გახდა მაღალი ტექნოლოგიების ერთ-ერთი დიდი ცენტრი და მას ხშირად უწოდებენ ჩრდილოურ სილიკონის ველს. ოტავაში ასევე მდებარეობს ფედერალური სახელმწიფო სტრუქტურები და კანადის უმსხვილესი კულტურული ცენტრები, მაგალითად, ეროვნული გალერეა. ოტავა იკავებს მე-4 ადგილს რეიტინგში მსყიდველობითუნარიანობის და ეკოლოგიური სტანდარტების დაცვის მხრივ.

6. კოპენჰაგენი, დანია

კოპენჰაგენი არის დანიის დედაქალაქი და ყველაზე დიდი ქალაქი. ის ასევეა დანიის კულტურული, ეკონომიკური და სამთავრობო ცენტრი, ჩრდილოეთ ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს კოპენჰაგენის საფონდო ბირჟა. ქალაქის ეკონომიკა სწრაფად იზრდება მომსახურების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ფარმაცევტიის და „სუფთა ტექნოლოგიების“ განვითარების ხარჯზე. დანიის დედაქალაქი იკავებს მე-5 ადგილს უსაფრთხოების რეიტინგში და მე-8-ს ეკოლოგიურად სუფთა ქალაქების სიაში.

5. ციურიხი, შვეიცარია

განეკუთვნება გლობალურ ქალაქებს. შვეიცარიის უმსხვილესი ფინანსური ცენტრი, სადაც განთავსებულია ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ცენტრალური ოფისები, მათ შორის ისეთების, როგორც UBS და Credit Suisse. ციურიხში ასევე ფუნქციონირებს შვეიცარიის საფონდო ბირჟა და ქვეყნის ცენტრალური ბანკის ერთ-ერთი შტაბ-ბინა. ციურიხი იკავებს პირველ ადგილს მსყიდველობითუარიანობის რეიტინგში, ასევე მე-2-ს უსაფრთხოების და ეკოლოგიური მდგომარეობის მხრივ.

4. მელბურნი, ავსტრალია

მელბურნი არის ავსტრალიის ერთ-ერთი ძირითადი კომერციული, სამრეწველო და კულტურული ცენტრი. მელბურნს ასევე ხშირად უწოდებენ ქვეყნის სპორტულ და კულტურულ დედაქალაქს, რადგანაც იქ ტარდება ბევრი სპორტული და კულტურული მოვლენა. მელბურნს უჭირავს მე-3 ადგილი მსყიდველობითუნარიანობის რეიტინგში, ასევე შედის ტოპ-10-ში ისეთ პარამეტრებში, როგორიცაა ჯანდაცვა, უძრავი ქონების ფასების და მოქალაქეების შემოსავლების შეფარდება და კლიმატი.

3. ვენა, ავსტრია

ვენა არის გაეროს მესამე ქალაქი-რეზიდენცია ნიუიორკის და ჟენევის შემდეგ. ვენის საერთაშორისო ცენტრი აერთიანებს გაეროს სხვადასხვა განყოფილებას, ატომური ენერგიის სააგენტოს და ა.შ. ვენაშია ასევე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების შტაბ-ბინები, როგორებიცაა ოპეკი და ეუთო. ვენა ლიდერობს ჯანდაცვის რეიტინგში, და ასევე იკავებს მე-6 ადგილს მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო ქალაქების სიაში.

2. ედინბურგი, შოტლანდია

ედინბურგი არის ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქალაქი. იქ მაღალ დონეზეა განვითარებული ისეთი დარგები, როგორებიცაა მომსახურება, ტურიზმი, საბანკო სექტორი, განათლება, მაღალი ტექნოლოგიები. ქალაქის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ასევე საქმიან ტურიზმს, სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებს, შეხვედრებს და კონფერენციებს, ასევე მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებს. ქალაქი იკავებს მე-2 ადგილს ჯანდაცვის ხარისხის მიხედვით, ასევე მე-3 ადგილს ეკოლოგიური მდგომარეობის მიხედვით.

1. უელინგტონი — ახალი ზელანდია

უელინგტონი არის ახალი ზელანდიის დედალაქალაქი, სიდიდით მეორე ქვეყანაში. ის ასევე მსოფლიოში ყველაზე სამხრეთული დედაქალაქია. უელინგტონი ლამაზი და მყუდრო ქალაქია ბევრი ხიდით, გვირაბით, პარკითა და სკვერით.

რეიტინგის ოცეულში ასევე მოხვდნენ: **ჰელსინკი, ბერლინი, ოკლენდი, ტორონტო, ლისაბონი, მადრიდი, კეიპტაუნი, სან-ფრანცისკო, პრაღა და სტოკჰოლმი.**

vestifinance.ru

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი – სრული სვლით!

საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ამერიკაში ცინცინატის მასტერსზე წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობს. ტურნირის 1/16 ფინალში ნიკამ მასპინძელი კრისტიან ჰარისონი ორ სეტში 6:3, 6:3 დაამარცხა. მატჩი 1 საათი გაგრძელდა.

მერვედფინალში ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე აშშ-ს კიდევ ერთი წარმომადგენელი, 20 წლის ჯარედ დონალდსონი იქნება, რომელიც ATP-ის რეიტინგში მე-60 ადგილზეა, კარიერის საუკეთესო შედეგი კი 58-ე პოზიციაა.

ბეჭან დოლიძე

◎ კალათბურთი

ნავარო ესპანეთის ნაკრების რეკორდსმენია

ესპანეთის საკალათბურთო ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში ვენესუელა 90:44 გაანადგურა. ეს მატჩი ხუან კარლოსისთვის ესპანეთის ნაკრებში 240-ე გამოდგა, რაც ყველა დროის რეკორდია. ნავარომდე ესპანეთის ნაკრებში ყველაზე მეტი თამაში ხუან ანტონიო სან ეპიტაფიოს ჰქონდა ჩატარებული (239 მატჩი).

37 წლის ნავაროს ესპანეთის ნაკრებთან ერთად ევრობასკეტის ორი ოქროს, ორი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი აქვს მოგებული. ოლიმპიადაზე ხუან კარლოსმა ორი „ვერცხლი“ და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მის ანგარიშზე ერთი „ოქროა“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტოსპორტი

„მაკლარენი“ ინდიქარში სრულფასოვან ჩართვას აპირებს

ფერნანდო ალონსომ ფორმულა 1-დან ინდიქარში გადასვლა შეიძლება გადაიფიქროს, მაგრამ „მაკლარენი“ ამერიკული ღიაბორბლიანი სერიით სერიოზულად დაინტერესდა. ამის შესახებ ესპანურ ვებ-გვერდ „მუნდო დეპორტივოსთან“ საუბრისას ინდიქარის სერიის მთავარმა აღმასრულებელმა მარკ მაილზმა განაცხადა.

მაილზი ამბობს, რომ მის ოფისთან მოლაპარაკებას „მაკლარენის“ აღმასრულებელი დირექტორი ზაკ ბრაუნი აწარმოებს, რომელიც კალიფორნიელია და თავად ერთ დროს სერია ინდი ლაითში ასპარეზობდა, შემდეგ კი რბოლების ბიზნესის სფეროში გადაინაცვლა.

„ჩვენ ვიცით, რომ „მაკლარენი“ მომავალ სეზონშიც აპირებს ინდი 500-ში „ანდრეტი ავტოსპორტთან“ ერთად გამოსვლას და იმავდროულად სერიაში საკუთარი გუნდით ჩართვასაც გეგმავს. ეს ალბათ 2019 წელს მოხდება. ბრაუნი ამ ეტაპზე კალენდართან დაკავშირებულ კითხვებს გვისვამს“, – ამბობს მაილზი.

ბრიტანულ კომპანიას ოკეანის გაღმა რამდენიმე გამარჯვება აქვს მოპოვებული, მათ შორის – ინდი 500-ის რბოლაშიც. ფ1-სგან განსხვავებით, ინდიქარში მონაწილეობა არ მოითხოვს საკუთარი შასის შემუშავებას. ამერიკაში შასის და ძრავებს გუნდები მზა სახით ღებულობენ. საერთოა აეროდინამიკური კომპლექტიც. შასის და აეროდინამიკურ კომპლექტს იტალიური „დალარა“ აწარმოებს, ძრავებს კი – „ჰონდა“ და „შევროლე“.



მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ეს მომავლის აკადემიაა

საქართველოს რაგბის აკადემია უმაღლესი სასწავლებელია, რომლის სივრცეშიც 15-18 წლის ნიჭიერი ახალგაზრდები სარაგბო უნარებს ხვეწენ, იღებენ დამატებით განათლებას და დიდ რაგბის ყოველმხრივ მომზადებულები ხვდებიან.

რაგბის აკადემიის სივრცეში შედის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფილიალები, განვითარების ჯგუფი, მსაჯთა განვითარების ჯგუფი, საფესტივალო რაგბი, 18-წლამდელთა 15-კაცა და 7-კაცა ნაკრებები, ასევე უფროსთა 7-კაცა ნაკრები.

აკადემია მჭიდრო კავშირშია საქართველოს 20-წლამდელთა და ეროვნულ ნაკრებებთან და მათი მწვრთნელების მოთხოვნის შესაბამისად ხდება ახალგაზრდა მორაგბეთა უნარების დახვეწა და განვითარება.

სექტემბრის დასაწყისში თითოეული კლუბი აკადემიას წარუდგენს 4-5 ნიჭიერ მოთამაშეს, მიმდინარეობს დეტექცია და ხდება განსაკუთრებული მონაცემების მქონე ახალგაზრდების შერჩევა, რომლებიც აკადემიის სივრცეში 2 წელი ვარჯიშობენ და ხვეწენ უნარებს. მნიშვნელოვანი მომენტი: რაგბის აკადემია დახურული არავისთვისაა და თუ რომელიმე მოთამაშე სეზონის მსვლელობისას თავს გამოიჩენს, ის აკადემიაში აუცილებლად მოხვდება (ან დაბრუნდება).

ვარჯიშები ტარდება კვირაში 6 დღე და იწყება დილის ექვს საათზე, რათა ახალგაზრდებს სწავლაში ხელი არ შეეშალოთ. გარდა ამისა, ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარებისთვის აკადემიის სივრცეში იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა სახის სოციალურ-საგანმანათლებლო აქტივობები: ვიზიტები თეატრში, შეხვედრები სხვადასხვა დარგის წამყვან სპეციალისტებთან, ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში და ა.შ.

„რაგბი ინტელექტუალური თამაშია, ამიტომ მოთამაშეს მრავალფეროვანი აზროვნება უნდა ჰქონდეს და ჩვენ ამ მიმართულებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. დეტექციისას ექვსი უმთავრესი კრიტერიუმი გვაქვს და ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული ყურადღება მოაზროვნე ბავშვებს ექცევა“, – ხაზს უსვამს აზროვნების და განათლების მნიშვნელობას რაგბის აკადემიის დირექტორი **ზაზა ლეჟავა**.

ზაზა ლეჟავამ საქართველოს რაგბის აკადემია 11 თვის წინათ ჩაიბარა და ვარჯიშების უთენია დანიშვნა, ასევე ვარჯიშების პროცესში საგანმანათლებლო აქტივობების ჩართვა სწორედ მისი ინიციატივაა. მისსავე მოსვლას უკავშირდება მოთამაშეთა და მწვრთნელთა შეფასების ახლებური სისტემა და კიდევ მრავალი სიახლე, რომლებიც აკადემიაში ბოლო პერიოდში დაინერგა.

კობა კობახიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

თემურ ქეცბაიამ „ორენბურგი“ დატოვა

თემურ ქეცბაიამ რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ორენბურგის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. რუსული კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, ქართველ სპეციალისტთან კონტრაქტი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყდა. ქეცბაიასთან ერთად გუნდიდან წავიდნენ მისი თანაშემწე სოსო ჭედია და ფიზმომზადების ბერძენი მწვრთნელი მიხალის მიხალისი.

ქეცბაია „ორენბურგის“ თავკაცად მიმდინარე წლის ივნისში დაინიშნა. გუნდმა მისი ხელმძღვანელობით რუსეთის პირველ დივიზიონში სეზონის საწყის 8 ტურში 10 ქულა მოიპოვა და ამ დროისთვის სატურნირო ცხრილში მე-13 ადგილზეა.

ზიდანი დელ ბოსკეს გაუთანაბრდა

მადრიდის „რეალის“ თავკაცი ზინედინ ზიდანი „სამეფო კლუბში“ ისტორიის წერას განაგრძობს – ესპანეთის სუპერთასის მოგებით ფრანგმა სპეციალისტმა მადრიდელთა მწვრთნელის რანგში მეშვიდე ტიტული მიითვალა („ბარსელონასთან“ – 3:1 და 2:0)..

ამ მაჩვენებლით ზიდანი გაუთანაბრდა ვისენტე დელ ბოსკეს, რომელიც „რეალს“ 1994, 1996 და 1999-2003 წლებში ედგა სათავეში.

მათზე მეტი მიღწევები აქვთ: ლუის მოლოვნის (1974, 1977-79, 1982, 1985-86) – 8 ტიტული და მიგელ მუნიოსს (1959-1974) - 14 ტიტული.

ზინედინ ზიდანი „რეალს“ 2016 წლიდან წვრთნის და ამ დროის განმავლობაში ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ – უეფას სუპერთასი, თითოჯერ – ესპანეთის ჩემპიონატი, ესპანეთის სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი.

სიმეონე „ფიორენტინაში“ გადავიდა

ფლორენციის „ფიორენტინამ“ „ჯენოას“ არგენტინელი თავდამსხმელი ჯოვანი სიმეონე გაიფორმა. ამის შესახებ „იების“ ვებ-გვერდი ოფიციალურად იტყობინება. 22 წლის ფეხბურთელმა ახალ გუნდთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო „ჯენოამ“ მის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო მიიღო, რასაც მომავალში 3 მილიონი ევრო დაემატება ბონუსის სახით.

მოგეხსენებათ, ჯოვანი დიეგო სიმეონეს ვაჟი გახლავთ. იგი „ჯენოას“ გასულ ზაფხულში შეუერთდა „რივერ პლეიტიდან“ და თავი კარგად წარმოაჩინა – 35 მატჩში 12 გოლი გაიტანა.

ჯოვანი სიმეონე „ფიორენტინაში“ ხორვატ ნიკოლა კალინიჩს შეცვლის, რომელიც „მილანში“ გადასვლასთან ახლოსაა.

გიორგი შოთაძე

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲦᲘᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ (IFAD) ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲬᲕᲓᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ (AMMAR)

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი“ (AMMAR) იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ კომპანიებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი **დავალების** შესასრულებლად:

ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე:

გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3 გამანაწილებლის რეაბილიტაცია

1. ტექნიკური ზედამხედველობა და ხარისხის კონტროლის დავალება განხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის“ (AMMAR) სასოფლო ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების კომპონენტის ფარგლებში. პროექტის (AMMAR) მიზანია საქართველოს სოფელში მცხოვრები ქალების და მამაკაცების შემოსავლების ზრდა და სიღარიბის შემცირება. განვითარების მიზანია კლიმატზე ადაპტირებული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვში ინვესტირების სტიმულირება მცირემიწიანი ფერმერების შემოსავლების გასაზრდელად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

2. ამჟამად პროექტი იწყებს **გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3 გამანაწილებლის რეაბილიტაციას** დეტალური პროექტი და ნახაზები მოიპოვება დეპარტამენტში.

ზემოთაღნიშნული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მიზნით პროექტი გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას ტექნიკური ზედამხედველობის კონსულტანტ კომპანიასთან (შემდგომში „ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია“).

დავალების მიზანია, ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც ამასთანავე გულისხმობს სამუშაოების სრულ შესაბამისობას პროექტთან, ტექნიკურ სპეციფიკაციებთან, ნახაზებთან და სხვა საკონტრაქტო დოკუმენტაციასთან და სამუშაოების დადგენილ ვადებში დასრულებას.

წინამდებარე დავალების შესაბამისად დეპარტამენტის ინჟინერ-კონსულტანტის/ზედამხედველის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და ინფრასტრუქტურის მესაკუთრის (შპს „საქართველოს მელიორაცია“) წარმომადგენელთან თანამშრომლობით ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ ორგანიზება უნდა გაუწიოს და განახორციელოს პროექტის ფარგლებში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების ხარისხისა და მოცულობის საერთო ზედამხედველობაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის II თავის გ. ნაწილის (ხარისხის კონტროლი) და ბ. ნაწილის (ხარჯების კონტროლი) დებულებების შესაბამისად.

ზედამხედველობისთვის საჭირო მთელი აღჭურვილობა (პერსონალისთვის მანქანების ჩათვლით), ასევე საზომი და საკონტროლო ინსტრუმენტები ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიამ უნდა უზრუნველყოს.

3. მომსახურების ხანგრძივობაა 8 თვე და 12 თვე დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, სულ 20 თვე. დავალების სავარაუდო დაწყების თარიღია 2017 წლის სექტემბერი.

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ფირმის მიმართ:

1. მსგავსი პროექტებისთვის ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების გამოცდილება;

2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი; საზედამხედველო კომპანიას უნდა ჰქონდეს ტექნიკური ზედამხედველობის გამოცდილება შემდეგ ან მსგავსი ტიპის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, კერძოდ: სარწყავი არხები; სადრენაჟე არხები; კოლექტორები, მილსადენები; ჰიდროტექნიკური ნაგებობები; გზები; ხიდები; სამოქალაქო/სამრეწველო ნაგებობები.

3. ფირმის მიერ შემოთავაზებული სპეციალისტების კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის დარგში.

ზედამხედველების ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს უმაღლესი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ტექნიკური სპეციალისტებით. შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ნიშნავს მსგავსი ხასიათის სამშენებლო პროექტებში შესაბამის სფეროში მუშაობის ფაქტიურ გამოცდილებას.

ზედამხედველობისა და კონტროლისთვის საჭირო პერსონალი, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს გამოცდილ (1) ჯგუფის ხელმძღვანელს/მშენებელ ინჟინერს, (2) საველე ზედამხედველებს და (3) ტოპოგრაფს.

1. ჯგუფის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

2. საველე ზედამხედველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;

პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

3. ჯგუფის ტოპოგრაფის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- უმაღლესი განათლება ან ეკვივალენტური კვალიფიკაცია სამშენებლო საინჟინრო საქმეში და საქართველოს სამშენებლო სტანდარტების და ნორმების საფუძვლიანი ცოდნა;
- ზედამხედველობის მინიმუმ 5-წლიანი სამუშაო გამოცდილება მშენებლობის ჩათვლით;
- მრავალდისციპლინარულ გუნდთან და სოფლის მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება;
- საინჟინრო პროექტირების მოთხოვნების და საქართველოს მშენებლობის ზედამხედველობის პროცედურების ცოდნა;
- პრაგმატული, შემოქმედებითი და ენერგიული მიდგომა პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღებისადმი და კონტრაქტორებსა და სოფლის მოსახლეობასთან ეფექტური მუშაობის უნარი.

5. ადგილობრივი ტექნიკური ზედამხედველობის კომპანია შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

6. ინტერესის შემთხვევაში და დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ წერილობით ჩვენ ელ-ფოსტაზე. ინტერესის გამოხატვის წერილი შეიძლება ელექტრონულად გამოგზავნილი იყოს და თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (პროექტის განხორციელების, ვადების, დამკვეთის და ღირებულების ჩათვლით);
3. ინფორმაცია ამ დავალებისთვის შემოთავაზებული პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების დეტალური აღწერილობა – CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ **2017 წლის 1 სექტემბრის 12 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი №6, მე-3 სართული, ოთახი 309
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 237-80-38/1521
ელ-ფოსტა: Levan.Tskhovrebashvili@moa.gov.ge
cc: Nana.Kupunia@moa.gov.ge

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ

რეზო ამაშუკელი დიდი მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მძახალი გუჩა დათუნაიშვილი ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სასაზღვრო ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

მეუღლე ანზორ ფეიქრიშვილი, შვილები დავითი, ნინო, შვილიშვილები ანი, გიორგი, ნესტანი, ქეთევანი, ანზორი, სიძე ლუკა გონგაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲤᲔᲘᲥᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲩᲐᲓᲣᲠᲘ)

პანაშვიდი: 17, 18 VIII, 18 სთ;
დაკრძალვა: 19 VIII (საბურთალოს ამაღლების ტაძრიდან) 15 სთ. მის: კ. კეკელიძის ქ. 15, ბ. 7.

ᲠᲙᲐᲪᲔᲡ ᲙᲐᲜᲘᲝᲜᲗᲐᲜ ᲠᲣᲡᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲐᲤᲔᲗᲥᲓᲐ

ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ინფორმაციით, ცეცხლი რუსი ტურისტების ავტომობილს მოეკიდა, რის შემდეგაც მანქანა აფეთქდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ტურისტებმა ავტომობილიდან გადმოსვლა მოასწრეს.

როგორც თვითმხილველებმა განუცხადეს, სოფელ გორდაში მისულ სახანძროს წყალი დაუმთავრდა და ხანძრის დროული ლიკვიდაცია ვერ შეძლო. ცეცხლის გაჩენის მიზეზი, სავარაუდოდ, გაუმართავი ელექტროობა იყო. მანქანა მთლიანად დაიწვა. ადგილზე 1 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა იყო მობილიზებული.

ᲨᲞᲡ „ᲔᲜᲛᲐᲘᲝᲚᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

2017 წლის 5 ოქტომბერს 12 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, აღმაშენებლის ქუჩა №127-ში გაიმართება შპს „ენმაიოლის“ ნავთობპროდუქტების საცავის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს გარდაბნის რაიონის ს. მარტყოფში (ვაზიანი) რეკონსტრუირებადი ნავთობპროდუქტების საცავში საწვავის მიღება, შენახვა და რეალიზაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შპს „ენმაიოლის“ ადმინისტრაციულ (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №37/39-ის 7-ე სართული) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირები:
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ ტელ: 599214001;
ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲣᲑᲘᲠᲘᲐ ტელ: 579020110.
ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ**

◎ რას არ გაიგებ...

მსოფლიოს 22 ქვეყანაში ტრამპზე მეტად პუტინს ენდობიან

ვის უფრო ენდობა მსოფლიო, პუტინს თუ ტრამპს? სოციოლოგიური გამოკითხვა კვლევითმა ცენტრმა pewglobal-მა ჩაატარა. გამოკითხვის შედეგებით, 22 ქვეყანაში ფიქრობენ, რომ პუტინს უფრო სწორი საგარეო პოლიტიკა აქვს, ვიდრე ტრამპს, 13 ქვეყანაში კი ტრამპს უფრო ენდობიან. ყველაზე დიდ ნდობას კრემლის ლიდერი საბერძნეთსა და ლიბანში იმსახურებს.

მოსკოვი დასავლეთის ტერორისტთა მხარდაჭერაში ადანაშაულებს

მოსკოვი ირწმუნება, რომ სირიაში აშშ-სა და ბრიტანეთში წარმოებული ქიმიური იარაღია აღმოჩენილი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მარია ზახაროვას განცხადებით ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დასავლეთი ტერორისტთა მხარდაჭერას განაგრძობს.

„დასავლეთის ქვეყნები და რეგიონის ზოგიერთი სახელმწიფო ამბოხებულებს, ტერორისტებსა და ექსტრემისტებს სირიაში მომწამვლელი ნივთიერებებით ამარაგებს, რაზეც ოფიციალური მტკიცებულებები არსებობს,“ — აღნიშნა ზახაროვამ.

ტრამპმა თეთრი სახლის 2 საბჭო დაითხოვა

დონალდ ტრამპმა თეთრი სახლის 2 საბჭო დაითხოვა. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელ Twitter-ში დაწერა. საუბარია წარმოებისა და სტრატეგიის და პოლიტიკის საბჭოებზე.

მიზეზი საბჭოს წევრების მიერ ტრამპის კრიტიკა გახდა. მათ უკმაყოფილება იმის გამო გამოთქვეს, რომ ტრამპმა ვირჯინიის ქალაქ შარლოტსვილში განვითარებულ მოვლენებში დაპირისისპირებული ორივე მხარე დაადანაშაულა.

საუდის არაბეთის პრინცი გარდაიცვალა

საუდის არაბეთის სამეფო ოჯახმა მორიგი დანაკლისი განიცადა. პრინც ბანდარ ბენ ფაჰ ბენ საად ბენ აბდელ რაჰმან ალ საუდი გარდაიცვალა. პრინცის გარდაცვალების მიზეზები უცნობია. ის გუშინ დაკრძალეს. სამგლოვიარო ცერემონია ერ-რიადში გაიმართა.



მამა-შვილი ბუშები რასიზმს გმობენ

მამა-შვილი ბუშები ვირჯინიის ქალაქ შარლოტსვილში განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურნენ. „ამერიკამ უარი უნდა თქვას რასიზმზე, ანტისემიტიზმსა და სიძულვილზე,“-ნათქვამია აშშ ექსპრეზიდენტების განცხადებაში. ულტრამემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის დაპირისპირებას შარლოტსვილში ერთი ადამიანი ემსხვერპლა. არიან დაშავებულებიც.

სეული კორეის ნახევარკუნძულზე ომს გამორიცხავს

კორეის ნახევარკუნძულზე ომი არ იქნება. ამის შესახებ სამხრეთ კორეის ლიდერმა მუნ ჩუე ინმა განაცხადა. მისივე თქმით, შეერთებული შტატები სამხედრო ძალის გამოყენებით ფხენიანზე ზეწოლის მოსახდენად იმუქრება, სინამდვილეში კი ძალის გამოყენება ნაკლებ სავარაუდოა.

დენიელ კრეიგი ჯეიმს ბონდს კიდევ ერთხელ ითამაშებს

ცნობილი ბრიტანელი მსახიობი დენიელ კრეიგი ადასტურებს, რომ ჯეიმს ბონდის როლს მეხუთედ ითამაშებს. ამის შესახებ მან The Late Show-ში სტუმრობისას განაცხადა.

„მე ეს ყოველთვის მინდოდა, მაგრამ გარკვეული პაუზა მჭირდებოდა. ბონდიანაში ამჯერად ბოლოჯერ ვითამაშებ,“ — აღნიშნა მსახიობმა.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ნიუ-იორკის ქუჩებში პრეზიდენტს აქილიკებენ...

აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტს ქვეყანაში, რომ ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, უკვე ყველასათვის ცნობილია.

ნიუ-იორკის ქუჩებში დონალდ ტრამპის დიდი გასაბერი ფიგურა დაამონტაჟეს, რომელიც ძალიან გავს ვირთხას, გაწელილი ყურებითა და წინგამოვარდნილი დიდი კბილებით. „გასაბერი ტრამპი“14 აგვისტოს მე-5 ავენიუსა და 59 ქუჩების კვეთაზე მოათავსეს. იგი ნიუ-იორკის სამხატვრო გალერეა „Bravin Lee“-ის თანამშრომლებმა დაამონტაჟეს, რომლებიც აცხადებენ, რომ ფიგურა სიმბოლოა „წინააღმდეგობისა და ირონიისა“ და ისინი მის დადგმას ქალაქის სახვადასხვა მხარეებში გეგმავენ.

ინგლისში ჰარი პოტერის მშობლების სახლი იყიდება

ინგლისში, სუფოლკის საგრაფოში, სოფელ ლავენჰემში XVI საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის სახლს ყიდიან. ეს სახლი იმითაა ცნობილი, რომ მსოფლიო ბესტსელერის „ჰარი პოტერი და სიკვდილის საჩუქრის“-ის წიგნის მიხედვით, ჰარის მშობლები, ჯადოქრები ლილი და ჯეიმსი აქ ბინადრობდნენ.



ისტორიული სახლი ცნობილია, როგორც „De Vere House“. იგი ოქსფორდის გრაფებს, ვერუებს ეკუთვნოდათ. ისინი ინგლისში სამეფო ოჯახის შემდგ ყველაზე მდიდრებად ითვლებოდნენ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. მე-17 საუკუნის გრაფს ედუარდ დე ვერუს, გენიალური შექსპირის რამდენიმე პიესის ავტორად თვლიან. სახლი 300 კვადრატულია და მისი ფასი 1, 64 მილიონს შეადგენს. მისი ინტერიერი შუასაუკუნეების და ტიუდერების ეპოქის ელემენტებს შეიცავს. თავის დროზე ოქსფორდის გრაფები ამ სახლში სანადიროდ ჩერდებოდნენ. სავარაუდოა, რომ სახლი „ჰარი პოტერის“ თაყვანისმცემლების ხელში გადავიდეს. იგი ხომ დღეს შექსპირზე პოპულარულია...

ტყუპების სამჭედლო

შოტლანდიის ერთ-ერთ მხარეში, ინვერკლაიდში ნამდვილი ტყუპების ცვენაა. წელს ერთ-ერთ სკოლაში, პირველ კლასში 13 წყვილი ტყუპი ერთდროულად შეაღებს სასწავლებლის კარს.

ადგილობრივები ხუმრობენ კიდეც, რომ მათ ონკანში განსაკუთრებული წყალი მოედინება, რადგან რეგიონი ტყუპების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. მშობლები მასწავლებლებს ამშვიდებენ, რომ ტყუპების გარჩევა არცთუ ისე რთულია, მაგრამ ერთ კლასში რამდენიმე ტყუპი ერთად რომ გყავს, სიმშვიდე ძნელი შესანარჩუნებელია. აღმოჩნდა, რომ გასულ წელს კიდევ უფრო მეტი ტყუპი და-ძმა მიუსხდა პირველად მერხებს. ადგილობრივი ხელისუფალი ჯიმ კლოერტი აცხადებს, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით მათ მხარეში ყველაზე მეტი ტყუპი იბადება.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3885; ევრო - 2.7950;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0747;
100 რუბლი - 3.9554; თურქული ლირა - 0.6754;
აზერბაიჯანული მანათი - 1.3943;
1000 სომხური დრამი - 4.9958.

ამინდი 18 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+21,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge